



La Géorgie  
Indépendante  
Revue mensuelle  
M A R S  
1929—№ 39

მ ა რ ტ ი  
1929 წ.  
№ 39

# საქართველოს პედაგოგიკური პარტიების დრონი

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს პ ე დ ა გ ო გ ი კ უ რ ი პ ა რ ტ ი ე ბ ი ს დ რ გ ა ნ დ .

## მ ი ნ ა ა რ ხ ი :

მეთაური—ველიკორუსები.  
კაჟი—რით მოვიდა ჩვენში რუსეთი.  
ილია ნუცუბიძე—ევროპის რეკონსტრუქცია.  
ბოროტი ხმები.  
ქართველ მხედრების დადგენილება.  
პლრ. ლ. მასანაძე—სამწუხარო მოვლენა.

ია—ადვოკატუს დიაბოლი.  
საქართველოს მეგობართა საზოგადოება.  
რ. ინგილი—იტალიური ფურცლები.  
უცხოეთის მიმოხილვა.  
რას სწერენ ბოლშევიკებზე.  
უკრაინელთა შორის. და სხვ.

## ვ ე ლ ი კ ო რ უ ს ე ბ ი

შენიშნულია წინეთ და ეხლაც, რომ რუსებს, სულ ერთია, ვინც არ უნდა იყოს, ძალიან არ უყვართ, როცა ველიკორუსებს ეძახიან, თითქმის შეურაცხყოფად ჩამოგართმევენ. რატომ, რა მიზეზია?

ძნელი სათქმელია, თუმცა ერთი მაინც აშკარაა ახლო წარსულიდან, თვითმპყრობელობის დროიდან. მაშინ რუსეთი, რუსი ერთი მეორეს შეავსებდა ხოლმე: რუსეთი გულისხმობდა მთელს იმპერიას, რუსის ხალხი—ყველა ხალხებს, ხოლო ეს ორი ცნება მესამიდან გამოდიოდა—რომანოვების თვითმპყრობელობიდან. მაშასადამე, ტერიტორია, მოსახლეობა, ხელისუფლება—სახელმწიფოს ეს სამი აუცილებელი ატრიბუტი მზათ იყო.

ფრიად საინტერესოა, მაგ., რომ დუმის ტრიბუნაზედ—ხშირათ გადაეკლდა ერთმანეთს ორი ფრაზა—რუსის თუ რუსეთის ხალხი. სიტყვა ერთი, ნაცია არ იყო დიდ პატივში, თუ გინდ იმიტომაც, რომ არავის გაეგლო თავში მისი თანამზდევენი თავისუფლებანი უაღრესათ ავტოკრატიულ ქვეყანაში, არავის ეგონო თავი მოქალაქედ ნაცვლად უქვეშემდრდომესი მონისა. რაღა გავაგრძელოთ, ადვილათ შეამჩნევდით, რომ მქმარჯვენენი ანუ გარუსების მოტრფიალენი, იმპერიის მოსახლეობის აღსანიშნავათ, «რუსის ხალხს» ხმარობდენ, მქმარცხენენი კი «რუსეთის ხალხს».

გაიგონებდით, რა თქმა უნდა, ამასთანავე დამამცირებელ სიტყვებსაც: «ინოროდცი, ტუზემცი, კავკასკი ჩელოვეკ, უიდ...» სტალიბინმა, მაგ., უკრაინელი ინოროდცებად მონათლა, ეს ერთგვარი პრეგრესიცი კი იყო. მაგრამ ამეებს როდი ვეხებით აქ. განსოვთ, უკრაინელიც არ იხმარებოდა, მალორუსად ნათლავდენ, ველიკორუსისგან განსარჩევათ, და ეს ორი მტოვ ერთ დიდ მორევში—რუსის ხალხში—შედიოდა.

ეს მცირე მოგონება წარსულიდან გამოიწვია ერთი მოხსენების და კამათის ანგარიშმა კერძონკის კვირეულ «დნი»-ში. მომხსენებელი პრედესტრადი ფედოტოვი, შეიძლება ითქვას, თითოთ საჩვენებელი გმირია იმ მხრივ, რომ ის ლამობს თეორიულ ფორმულაში ჩამოასხას ველიკორუსული იმპერიალიზმი. ფორმულა მარტივია და კეთილხმოვანიც, თუ გნებავთ: კვლივადხია, რუს, რუსეთი.

ფედოტოვი სტოვებს ძველ ბიზანტიურ ორპოფობას და პირდაპირ ამბობს: «რუსის ინტელიგენცია გაურბის ველიკორუსულ შეგნებას, როგორც ვიწროს, მისთვის უღირს». მას არ მოსწონს ეს: «ველიკორუსიის აულორძინებლათ რუსეთის მთლიანობის შენარჩუნება შეუძლებელია». ფედოტოვი განმარტავს: «ველიკორუსიამ შექმნა იმპერია, ასაზრდოვდა მას საკუთარის სისხლით, მცხოვრებლებით, კაპიტალებით».

ფედოტოვი გაურბის, როგორც მიღებულია, კითხვებს: რამდენად დაუჯდათ სხვეს ეს «შემოქმედება»? რამდენჯერ მეტი «სისხლი» დაღვარეს დაპყრობილმა ერებმა ველიკორუსებთან შედარებით? როგორ მოსრეს მათი სარჩო-საბადებელი? ვინ იყო მომხდომი, ვინ—მომგვრებელი? რამდენჯერ მეტი იყო მათ წარმოებაში დასავლეთის «კაპიტალები»?

ფედოტოვი გულწრფელიცაა: «უკანასკნელ ათეულ წლებში ველიკორუსიას გამოფიტვა დაეტყო, განსაკუთრებით ჩრდილოეთით, ხოლო განაპირა ქვეყნები იზრდებიან და იზიდავენ საზოგადოებრივ ყურადღებასო.» არა, ფედოტოვი შეუბრალებელიცაა: «რევოლუცია უნდა გავიგოთ არა მარტო როგორც პოლიტიკური და სოციალური კრიზისი, არამედ როგორც რუსულ ნაციონალურ შეგნების კრიზისიც, რადგან 1917 წელს რუსის ხალხმა არ მიიხუ-

რვა რუსეთის დაცვა»—ხაზგასმულია ანგარიშში.

რას იტყვიან? განა მოხლოდნელი არ იყო ამის შემდეგ, რომ მომხსენებელი—პროფესორი შესაფერ დასკვნებსაც გააკეთებდა? მართლაც, თუ ველიკოროსია გამოიფიტა, თუ განაპირა ქვეყნები წინ მიდიან, თუ რუსის ხალხს თავის ქვეყნის დაცვაც ვერ შეუგნია,—ჩვენ ველოდით, რომ ფედოტოვი ასე იტყოდა: ვიღებთ რა ყველა ამას მხედველობაში, არარუს ერებს უნდა მიენიჭოთ სრული დამოუკიდებლობა და ჩვენ, ველიკორუსებმა კი, უნდა ვცადოთ მეგობრულ დამოკიდებულებაში დარჩეთ მათთან. თითქო ამას მოითხოვდა არა მარტო მიხაილოვსკის «სიმართლე-სამართლიანობა», არამედ ლოლიკაც, რომელიც, ყოველ შემთხვევაში, ერთი უნდა იყოს რუს და არარუს «ინტელიგენციაში».

მაგრამ მოვსტყუვდით. ფედოტოვი, როგორც გახსოვთ, ველიკოროსიის აღორძინებას მოითხოვდა, და ამაში ჩვენი თანაგრძნობა მის მხარეზეა, რა თქმა უნდა, მაგრამ მას ეს აღორძინება სხვა რამისთვის სჭირია: «ველიკოროსის პოლიტიკური კაპიტილიზმა იმისათვისაა საჭირო, რომ მის ვაჭრებს ტრიალებდნენ თანამეზობლებს, რეპრესიებს უთხოვთ მხედველობაში, თუ მას მიმწიდელობის ძალა დაეკარგება»—ხაზგასმულია იქვე.

«თანამეზობელთა» შორის უმახლობლესი და უსაყვარლესი უკრაინაა, ჩვენ არ ვხუმრობთ, ფედოტოვი უქადაგებს ველიკორუსებს: «ჩვენ შეეყვარებულავით უნდა შევითვისოთ პატარა რუსეთის შემოქმედება, შემოვიღოთ სკოლაში მალორუსული, სკოლა მათი შიხნაფეხა დაქვეყნდნენდასადმი მიწმივე მღვკვეთოთ»—ხაზგასმულია იქვე.

თქვენ გეგონებათ, ჩვენი პროფესორი ბორძიკობს, როცა ის უკრაინულ კულტურას სცნობს და კიდევ არ სცნობს, რადგან მას რუსულ კულტურასაც ეძახის. ნამდვილათ კი ის თანასწორობის ხაზს უსობს, როგორც ძველათ, ველიკორუსებს და მალორუსებს და ორივეს რუსის ხალხში ლესავს.

რაც შეეხება დანარჩენ «თანამეზობლებს», ფედოტოვი პათოსით ამბობს: «რუსეთისთვის, იმპერიისთვის, თუმცა ნაკლების დროს, ივივე საჭიროებაა, შევიტანოთ პატარა ხალხების შემოქმედება რუსეთის საერთო კულტურაში. მათი მიღწევანი ჩვენი სიამაყეა. რუსეთისათვის ჩვენ ვარჩევთ სიმდიანას და არა უნისონს. იმპერატორის ძველი ტიტული, თვითველი ხალხის აღნიშვნით, თვით რუსეთის ტიტულად უნდა იქცეს»—ხაზგასმულია იქვე.

ამრიგად, სინტეზი უკვე ნახულია: ა) ველიკორუსები—მაყრდნობი ხალხი; ბ) ველიკორუსები და მალორუსები—რუსის ხალხი; გ) რუსის და არარუსის ხალხები—რუსეთის ხალხი. სიტყვა-მოჭრილათ იხილეთ ზევით: ველიკოროსა, რუს, რუსეთი.

გამოდის, ფედოტოვმა შესძლო შეუძლებელი, მემარჯვენენი და მემარცხენენი ერთმანეთს ესვევიან, დაპყრობილნი დიდებას უვალობენ დამპყრობელთ, ცვარი-მგელს და «სიმფონიაც» მზათაა.

და მერმე, რაც ყველაზე საინტერესოა, ეს მომზადარა «დნის» ჟურნალში, მისი რედაქტორის კერენსკის თავმჯდომარეობით! მოისმინეთ, რა სიტყვებს უღებს

მას რეპორტერი პირში: «კერენსკიმ მადლობა გამოუცხადა ფედოტოვს მოხსენებისთვის, რომელიც განსაკუთრებით ძვირფასია თავისი ღრმა ნაციონალური სულისკვეთებითა».

რაც შეეხება ოპონენტებს, ისინიც, ცნობილი ეს-ერები, სავსებით იზიარებდნენ მომხსენებლის დასკვნებს, არ მოსწონდათ მხოლოდ ველიკორუსებად გამომზეულება, რადგან ამ სახელს სეპარატისტები გვეძახიან—ასაბუთებს ერთი მათგანი. მეორე ამბობს: «მე ვფიქრობ, ქართველები, სომხები ვერ უარყოფენ, რომ მათი კულტურა, რუსულ კულტურასთან შედარებით, პროვინციულია». მას არ სცოდნია, თორემ უთუოთ გამოიყენებდა, რომ, «იმპერატორის» დროს, ქართულ ენაზე, მაგ., საშუალო განათლების მიღებაც არ შეიძლებოდა. არა მარტო საშუალო, ქართული უნივერსიტეტიც ჩვენ რევოლუციის პირველ თვეებში, ე. ი. დამოუკიდებლობის წინ, დავარსეთ და მით გავამთელეთ მე-18 საუკ. დამღვეს დაწყებული ძაფი მალალი განათლებისა ჩვენში.

როგორც ხედავთ, კერენსკის და სხვების «ღრმა ნაციონალური სულისკვეთება» მთლათ უანგარო არ არის. ისინი არ უარყოფენ, რომ არარუსნი თუ არ სჭარბობენ რუსებს რიცხვით, მათზე ნაკლები არ არიან. მაშ როგორ ფიქრობენ ამოტელა «ხალხების» მონელებას? განა დაავიწყდათ, რომ რუსის ხალხს ჯერ რევოლუციაც ვერ მოუხელებია? არის თუ არა დრო, რომ რუსები დაუბრუნდნენ თავის კერას და იქ ეძიონ თავის ერის, ნაციის გამოქვეყნება?

ფედოტოვის დამსახურება სწორეთ იმაში მდგომარეობს, რომ მან მსოფლიოა რუსებს ამ კერასე. რა უყოთ, რომ ის აქედან ორ-თავიან არწივს ესალმუნება, «იარალით» გვემუქრება, «წმინდა მამებსაც» იშველიებს, მომავალ სახელმწიფო ფორმასაც არ სახლვრავს,—როგორც ოპონენტები უსაყვედურებენ. ამეებზე მერმეც მოესწრებით, ჯერ გამოარკვიეთ, ვინა ხართ: ველიკორუსები, რუსები, თუ რუსეთელები. ჩვენ გამორკვეული ვართ, არც გვინდა «პროვინციულებად» დარჩენა.

ხომ ხედავთ, რა შეურაცხეობა მოგაყენათ თვით თქვენმა ძმამ: ნაციონალური შეგნება არ გქონდათო, სამშობლოს დაცვა არ მოისურვეთო! ესლა ხომ არ დაობთ იმაზე, რა მწარე შედეგი მოჰყვა ამას? განა არის ისეთი ერთი მსოფლიოში, რომელიც აიტანდა ბოლშევიზმს 12 წელიწადი? აბა დაგვისახელებთ.

თქვენი ნაციონალიზმი, გინდათ არ გინდათ, მემარჯვენეთა ბანაკში ამოგაყოფინებთ თავს. ცოცხალი მოწმე ფედოტოვია, რომლის «სიმფონიას» ასე მხურვალეთ უკრავდით ტაშს.

თუ თქვენ მოიპოვებთ «ნაციონალურ შეგნებას» დარწმუნებული ვართ, რომ არც ჩვენს ნაციონალურ შეგნებას მოვპყრობით ასე აბუჩათ. და... მაშინ ჩვენ «ტიტულშიც» ადვილათ მოვრიგდებით. დეე, გერქვათ რუსები და თქვენს სამშობლოს—რუსეთი! ოღონდ ჩვენც დავგანებთ ჩვენი «ტიტული»: ქართველი, სომეხი, უკრაინელი... საქართველო, სომხეთი, უკრაინა...

«რუსეთის ხალხი» არ არსებობს, ამაში ბოლშევიკების დეკრეტამაც კი გაგისწროთ!



ჩიტი მოვიდა ჩვენში რუსეთი

1.

ეს კითხვა ჩვენ არ დაგვივარდა. იგი რუსეთის პოლიტიკურმა მოღვაწეებმა წამოაყენეს და სადაო საგნათ გახადეს. მათი სურვილია დაუმტკიცონ ქვეყანას, რომ «რუსეთი ერების სატუსალო» არ ყოფილა, რომ რუსეთისადმი არ შეიძლება ოსმალეთისა და ავსტროუნგრეთის საზომით მიდგომა, ვინაიდან, სწერს ჩვეულებრივი რიხით ა. კერენსკი: «თუ გამოვკლებთ პოლონეთსა და ფინლანდიას და ავიღებთ მაგალითათ ან კავკასიასა და ან თურქესტანს, დავინახავთ, რომ იქ მეფის რუსეთსაც მიქონდა არა სატუსალო, არამედ განთავისუფლება და კულტურისა და სახელმწიფოებრივი განვითარების შემდეგი უმაღლესი საფეხური» (ეურ. «დნი» № 16).

ესევე აზრი, უფრო სიფრთხილით და დასაბუთებით გამოხატევა ამ რამდენიმე წლის წინეთ პ. მილიუკოვმა თავის წიგნში «ნაციონალური საკითხი». უნდა ითქვას სიმართლე, რომ მილიუკოვი თავის აზრს კერენსკივით კატეგორიული ფორმით არ ამბობს. იგი არც ვახ. «რულის» რედაქციასავით ნათხევს მხამს და არც «ვოზროკედენის» რედაქტორ სემიანოვისავით თხზავს ფაქტებს. პ. მილიუკოვი ცდილობს, რამდენათაც ეს შესაძლებელია რუს პროფესორ-პოლიტიკოსისთვის, ობიექტიურათ განიხილოს რუსეთის იმპერიაში შემავალი ერების საკითხი. რასაკვირვებელია სრულ ობიექტივობას ვერც იგი იჩენს, მაგრამ მაინც ვაცილებით მაღლა სდგას, ვინემ ზემო დასახლებული. გახეტების ღვარძლიანი წერილები. ამიტომ მკითხველის ყურადღებას შევაჩერებ უმთავრესათ მილიუკოვის მიერ ჩამოყალიბებულ დებულებებზე და მეც ჩემის მხრით ვეცდები შეძლების დავგარათ ობიექტიურათ მიუდგე ამ საკითხს და გავაშუქო. რასაკვირვებელია, საგანგებო წერილში მისი საგნებით გარკვევა და ამოწურვა ადვილი არ არის. იგი სპეციალისტ ისტორიკოსების საქმეა და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მას ჩვენი ისტორიკოსები არ დააყვანებენ.

პ. მილიუკოვი რუსებისა და დაპყრობილ ერების ურთიერთობას შემდეგნაირათ მართავს: ის, ყოფილ რუსეთის იმპერიაში შემავალ ერებს, მათი კულტურული განვითარების დონეს და მიხედვით, სამ კატეგორიათ ყოფს. პირველ კატეგორიას აკუთვნებს იმ ხალხებს, რომლებიც თავისი კულტურული განვითარებით დაბალ საფეხურზე იდგენ და რომელთაც ამის გამო არ ქონდათ განვითარებული ნაციონალური შეგნება და საკუთარი ეროვნული მე. ამ ხალხებმა თავიდანვე მიიღეს მონაწილეობა რუსეთის სახელმწიფოს შექმნაში რუსებთან ერთათ, გაითქვიფენ რუს ხალხში და არაწვითარი წინააღმდეგობა ასიმილიაციისთვის არ გაუწევიათ. ეს პროცესი გაგრძელდა დაახლოვებით მე-7 საუკ. მე-16 საუკუნემდის. ამ შემთხვევაში მოხდა ის, რაც დას. ევროპაში ერების წარმოშობისას, — შეიქმნა ერთი სოციალ-ფსიქოლოგიური ტიპი.

მეორე კატეგორიას შეადგენენ ის ხალხები, რომლებიც

რუსულ ტიპში არ გაითქვიფენ, მაგრამ მაინც ვერ მოასწრეს ეროვნულათ ჩამოყალიბება მანამ, სანამ მათ რუსეთის სახელმწიფო ძალით შეიერთებდა. ეს მოხდა უკანასკნელი 4 საუკ. განმავლობაში. დამოკიდებულება მათსა და გაბატონებულ ერს შორის იყო მშვიდობიანი მანამ, სანამ სხვა ერებში ვალვიძებულმა ნაციონალიზმმა მათშიდაც არ შეაშუქა. მერმე მათაც გაუჩნდა ეროვნული ინტელიგენცია და გაჩადა ეროვნული მოძრაობა. აღმოსავლეთ რუსეთში და ციმბირში ასეთი ერების ეროვნული შეგნების პროცესი დაიწყო არა უადრეს მე-20 საუკუნისა.

მესამე კატეგორიას ეკუთვნიან ის ხალხები, რომლებიც დასავლეთის საზღვრებზე და ამიერ-კავკასიაში მე-18 და მე-19 საუკუნეებში იქნენ შეერთებულნი რუსეთთან. ნაწილობრივ აქაც შეხვდებით ნაკლებათ მომწიფებულ ერებს, რომელთა ეროვნული შეგნება რუსეთთან შეერთების შემდეგ ყალიბდება, მაგრამ მერეს მხრით რუსეთს საქმე ქონდა ისეთ ძველ კულტურულსან ერთან, როგორიც პოლონელებია და უძველეს კულტურის მქონე ერებთან, როგორიც არიან ქართველები და სომხები. ამ კატეგორიის ერების საერთო დამახასიათებელ თვისებას შეადგენს ის, რომ მათი ნაციონალური თვითშეგნება და ჩამოყალიბება მოხდა დამოუკიდებლათ რუსეთის ერისა. კერძოთ პოლონეთთან დამოკიდებულება კიდევ უფრო რთული იყო, რუსებსა და მათ შორის სწარამგებდა ბრძოლა კულტურული და პოლიტიკური პირველობისთვის და იგი დღესაც არ გათავებულა (პ. მილიუკოვი «ნაციონალური საკითხი» გამ. 1925 წ. გვ. 150-155).

ასეთია მოკლეთ მილიუკოვის მიერ დახატული ყოფილი რუსეთის იმპერიის ერების განვითარების სქემა. დაახლოვებით იგი უეჭველათ სწორია. მაგრამ მილიუკოვი აქ არ სვამს წერტილს. როგორც დავინახეთ, თვითონ მან აღიარა, რომ ეს ერები ეროვნულათ განვითარდენ დამოუკიდებლათ რუსებისა. მიუხედავათ ამისა, ის მაინც ცდილობს დაამტკიცოს, რომ რუსეთმა ამ ერების განვითარებაშიც შეიტანა თავისი წვლილი. დასავლეთის საზღვრებზე, გარდა პოლონეთისა, სწერს იგი, რუსეთი სახელმწიფოებრივი მოსახრებით მხარს უჭერდა ადგილობრივი ერების ნაციონალურ თვითგანვითარებას.

რაც შეეხება კერძოთ ამიერ-კავკასიას, აქ მისი აზრით, რუსეთის მთავრობამ დიდათ შეუწყო ხელი ადგილობრივი ერების ნაციონალურ განვითარებას. უწინარეს ყოვლისა რუსეთის მთავრობამ შესძლო სამ ადგილობრივ ერთა შორის მშვიდობიანობის დამყარება. ეს ერები განვითარების სხვადასხვა საფეხურზე იდგენ: ქართველები სანახევროთ მრეწველები იყვენ, სომხები — მიწის მუშანი და თათრები — სანახევროთ მომთაბარენი. და რუსის მთავრობამ ხელი შეუწყო მათ ეკონომიურ განვითარებას და მატერიალურ კეთილდღეობას. რუსეთის ბატონობის ხანაში ჩვენ ვხედავთ — პურის, ღვინის, ნავთის, მარგა-

ნეცის, ჩაის, თუთუნის და ბამბის მრეწველობის ზრდას. ქალაქური ცხოვრებაც სწრაფათ განვითარდა; 45 წლის განმავლობაში (1868-1913 წ.) ტფილისის მცხოვრებთა რიცხვი გაიზარდა 64 ათასიდან 350 ათასამდე, ბაქოსი—12 ათას.-250 ათასამდე. ქუთაისის—8,000-58,000-მდე. ერევნის—14,000-29,000-მდე. საქონლის ექსპორტი და იმპორტი გაიზარდა 50-ჯერ. ყველა ამან კი ხელი შეუწყო ამ ერების ნაციონალურათ შეკავშირებას და კულტურულათ აღზრდას (იქვე, გვ. 155-157).

II.

ამიერ-კავკასიის ერების კულტურულ-ეკონომიური ზრდა რუსეთის ბატონობის ხანაში სიმართლეთა, მაგრამ მისი ახსნა და განმარტება არ არის სწორი. თქმა იმისა, რომ რუსეთის მთავრობა ხელს უწყობდა ამიერ-კავკასიის ერების ეკონომიურათ და კულტურულათ აყვავებას, არ შეესაბამება ფაქტებს. სხვა თუ არა, ეს საკითხის ყალბათ დაყენებაა. საქმე იმაში კი არ არის, თუ დაჩაგრულმა ერებმა მოსკოვის ბატონობის უღელ ქვეშ რის გაკეთება შესძლეს, არამედ მასში, თუ თვით გაბატონებული ერი და მისი მთავრობა როგორ და რით უწყობდა ხელს ჩაგრულ ერთა კულტურულ-ეკონომიურ-ნაციონალურ განვითარებას და რით ეხმარებოდა იგი ამაში.

წმირათ ჩაგრული ერი, წინააღმდეგ გაბატონებული ერის სურვილისა, ანვითარებს თავის ეროვნულ ძალებს ყოველ დარგში; ეს კი იმას ამტკიცებს, რომ ეს ერი უნარიათი და ცხოველმყოფელია, რომ ის უთანასწორო ბრძოლის პირობებშიც კი, არ რჩება საერთო პროგრესს უკან. ეს შედეგია ამ ერის ნიჭის და მისი ეროვნული შემოქმედებითი ძალების და არა უცხა ძალის ბატონობის. ეს ქვეშაობა არის იმ შემთხვევაშიც კი, როცა ჩაგრული ერი გაბატონებულ ერს ბევრ რასმეში ბაძავს, მის კულტურის წიგით მხარეებს ითვისებს და მას თავის ეროვნულ ელფერს აძლევს. ისტორიამ ამის მაგალითი იცის. ავიღოთ იმავე რუსეთის ისტორია. თათრების რუსებზე 200 წლის ბატონობის ხანაში რუსის ერი მოსკოვის გარშემო სახელმწიფოებრივათ შეკავშირდა, მოსკო სამთავროები და გაიჩინა პოლიტიკური და კულტურული ცენტრი. როგორც არ უნდა ამტკიცებდენ ევრაზიელები მონღოლების გავლენას რუსეთის წარმოშობის საკითხში, იმის თქმა მაინც არ შეიძლება, რომ მოსკოვი თათრებმა შექმნა და არა რუსის ხალხმა და რომ თათრების ბატონობა სასურველი და დადებითი მოვლენა იყო. რომ ეს უკანასკნელი არ ყოფილიყო, შეიძლება რუსეთის სახელმწიფოებრივი განვითარების ისტორია სულ სხვა გვარი ყოფილიყო და სახელმწიფოს ცენტრი გამხდარიყო ეკონომიურათ ძლიერი დიდი ნოვგოროდი, ან პსკოვი და არა სამხედრო ბანაკათ ქცეული მოსკოვი. ეს შეიძლება გაცილებით უკეთესი ყოფილიყო რუსეთის ერისთვის, ერთი იმიტომ, რომ მისი სახელმწიფო უფრო მტკიცე საფუძველზე იქნებოდა აგებული და მეორე იმიტომ, რომ იგი უფრო ადრე დაუახლოვდებოდა და შეითვისებდა ევროპის კულტურას.

და აი, თუ ასე დავაყენებთ კითხვას, მაშინ ჩვენ-

თვის ნათელი იქნება, თუ როგორ შეუწყო რუსეთმა ხელი ჩვენს განვითარებას და რა მოგვცა მისმა 100 წლის ბატონობამ ჩვენ. რომ ამ კითხვას პასუხი სისწორით გავცეთ, ამისთვის საჭიროა ვიცოდეთ, რას წარმოადგენდა თვით რუსეთი ამ დროს ეკონომიურათ, კულტურულათ და პოლიტიკურათ, ესე იგი რა ავლა-დიდების პატრონი იყო ის. ჩვენში იტყვიან ხოლმე—რაც არ დაწვება, რა ადგებაო. რაც რუსეთს არ ექნებოდა, იგი იმას ჩვენ ვერ მოგვცემდა.

III.

ამიერ-კავკასიაში რუსეთი მოვიდა მე-19 საუკუნის დასაწყისში. ის მხოლოდ ამ დროს იწყებდა ეკონომიურათ და კულტურულათ აღორძინებას და ცდილობდა გაეფრობილებას. ის ამ ხანაში მეტათ ლარობი იყო თავისი კულტურული და ეკონომიური ძალებით.

დავიწყოთ ქალაქური ცხოვრებიდან. საერთოთ რუსეთის ქალაქები წარმოიშვენ და განვითარდენ სულ სხვაგვარ პირობებში, ვინემ დასავ. ევროპის. «დასავლეთში, სწერს რუსეთის ბურჟუაზიის ისტორიის მკვლევარი პ. ბერლინი, ქალაქი ასრულებდა ბურჟუაზიული ელემენტების თავის მომყვალ როლს, რომელთაც იძლეოდა თავის წრიდან დაჩაჩანაკებული ფეოდალური საზოგადოება. ეს ელემენტები აქ ნახულობდენ თავშესაფარს, თავისუფლებას და წესრიგს. წინააღმდეგ სუოათს ვხედავთ რუსეთში. აქ ქალაქი იზრდებოდა არა ბუნებრივი ეკონომიური განვითარების ნიადაგზე, არამედ უმთავრესათ ადმინისტრაციული ბრძანებით. დიდი ხნის განმავლობაში მცხოვრებლები გაუბრდენ ქალაქს და თავს აფარებდენ სოფელს. ადმინისტრაცია გაქცეულთ იჭერდა, სჯიდა და ძალით აბრუნებდა უკან» (პ. ბერლინი, «რუსეთის ბურჟუაზია» გვ. 3).

როგორც ვიცით, ეკატერინე II ძლიერ ამყობდა ამით, რომ მან 20 წლის განმავლობაში 216 ქალაქი დააარსა. ეს «დაარსება» გამოიხატება კი მასში, რომ იქ მცხოვრებლებს ნიშნავდენ ისე როგორც მოხეტე, ხოლო მცხოვრებნი ამას თვლიდენ ადმინისტრაციულ გადასახლებათ. ამიტომ დიდი უმეტესობა ასეთი ქალაქების მხოლოდ ქალაღზე დარჩა. ყველა ამით აიხსნება ის, რომ რუსეთში ქალაქის მცხოვრებთა რიცხვი ძლიერ ნელის ნაბიჯით იზრდებოდა. 1782 წლის «რევინიის» აღწერის თანახმათ 30 მილიონ მცხოვრებიდან, ქალაქებზე მოდიოდა მხოლოდ 300000 მცხოვრები. ეს იყო მე-18 საუკ. მიწურულში, როცა ერეკლე მეფესა და რუსეთ შორის სწარმოებდა მოლაპარაკება. მაგრამ არც ჩვენში დამკვიდრების შემდეგ ყოფილა რუსეთში ამ მხრივ უკეთესი სურათი.

გერმანელი მკვლევარის ჰაკსტჰაუნენის აზრით, ბურჟუაზია რუსეთში მეორე მოცე წლებში მხოლოდ იწყებდა არსებობას და იგი მცხოვრებთა ძლიერ მცირე ნაწილს შეადგენდა. მაგალითათ ნოვგოროდის გუბერნიაში, სადაც ყველაზე უფრო იყო განვითარებული ვაჭრობა-მრეწველობა, ვაჭრები, მრეწველები და ხელოსნები შეადგენდენ საერთო მცხოვრებთა მხოლოდ 5 პროც. კიდევ უფრო სუსტი იყო განვითარებული ქალაქური ცხოვრება სამხრეთ გუბერნი-

ებში (პ. ჰაექსტჰაუზენი, «გამოკვლევა რუსეთის ხალხთა შინაური ცხოვრების ურთიერთობისა» გვ. 40).

პ. კოპპენის გამოკვლევით 1851 წ. რუსეთის ბურჟუაზიის საერთო სურათი ასეთი იყო:

ქრისტიანი, ებრაელი, მაჰმადიანი.

I ლილდი	1,440	467	9
II ლილდი	5,005	891	91
III ლილდი	137,198	28,809	4,197
სულ	143,843	30,167	4,297

რუსეთის ეკონომიური ჩამორჩენილობა კიდევ უფრო ნათელი ხდება, როცა ადარებთ ბურჟუაზიულ კლასს და სასულიერო წოდებას. ამავე ავტორის გამოკვლევით მთელს რუსეთში სასულიერო წოდება უდრიდა 277,695 სულს, ხოლო ბურჟუაზიის 3 ლილდი—180,359 სულს \*).

ცხადია, ასეთი სუსტი ბურჟუაზიის მყოფე რუსეთს არ შეეძლო ჩვენში გაეჩაღებია ვაჭრობა-მრეწველობა. იგი თვითონ საჭიროებდა ამ მხრით გარეშეს დახმარებას. 1814 წ. რუსეთში იყო სულ წვრილი და მსხვილი ფაბრიკა და ქარხანა 3,731, რომლებშიც მუშაობდა 169,530 კაცი. ასეთი მცირე საწარმოო ძალებით რუსეთი შორს ვერ წავიდოდა. ამას კარგათ გრძნობდნენ ზოგიერთი პოლიტიკური მოღვაწენი თავიდანვე. დეკაბრისტი ა. ბესტუევი ნიკოლოზ I-ს სწერდა: «აჯანყების ერთ მთავარ მიზანს შეადგენდა ისიც, რომ შეგვექნა ისეთი პირობები, რომელიც უცხო კაპიტალისტებს ჩვენში მუშაობის საშუალებას მისცემდა».

ეს იმას არ ნიშნავს, რომ თვითპყრობელობის პირობებშიც უცხო კაპიტალი რუსეთში არავითარ როლს არ თამაშობდა. მეორმოცე წლებში ცნობილი პუბლიცისტი ზაბლოცკი ამტკიცებდა: «ის, რომ რუსეთში განვითარდა ვაჭრობა-მრეწველობა, თუმცა სუსტათ, მიეწერება უმთავრესათ იმას, რომ ჩვენთან მოვიდა დასახმარებლათ უცხო კაპიტალი და ესლაც მთელი საგარეო ვაჭრობა უცხოელების ხელშია» (პ. ბერლინი «რუს. ბურჟ.», გვ. 102).

რუსეთის ეკონომიურათ ჩამორჩენილობა კიდევ უფრო ნათელია ჩვენთვის, როცა მას ვადარებთ სხვა სახელმწიფოებს. საერთოთ მიღებულია, რომ ლითონის მრეწველობის დონის განვითარება ყველაზე უფრო სწორი ბარომეტრია სახალხო მეურნეობის დონის საერთო განვითარების. 1870 წ. კაპიტალისტური ქვეყნების ლითონის დამზადების საერთო სურათი ასეთი იყო:

დიდი ბრიტანეთი	ამზადებდა	6,050,000 ტონს.
შვედეთი	შტატები	— 1,700,000 „
გერმანია	—	1,400,000 „
საფრანგეთი	—	1,200,000 „
ბელგია	—	630,000 „
ავსტრო-უნგრეთი	—	350,000 „
რუსეთი	—	300,000 „

როგორც ვხედავთ რუსეთი ყველაზე უკან სდგას. არც ფინანსების მხრით ქონდა რუსეთს ამ დროს

კარგათ საქმე. პროფეს. მიგულინის ცნობებით, 1853 წელს რუს. ხაზინას არ გააჩნდა გადასახურდავებელ ფონდში არც ერთი საკუთარი მანეთი და გამომწვებული იყო ნორმაზე მეტი 170,200,000 მანეთის ნდობის ბილეთებით.

უდავოა ისიც, რომ ეკონომიურ-კულტურული განვითარების ერთ მთავარ ფაქტორს წარმოადგენს მიმოსვლის საშუალებათა კარგათ დაყენება და მათ შორის რკინისგზა ერთი მთავართანია. რუსეთში კი რკინისგზის გაყვანა დაიწყო 1836 წ. და ორი წლის განმავლობაში გაიყვანეს მხოლოდ 25 ვერსის მანძილზე ცარსკოე-სელოდან.

IV.

აქედან ცხადია, რომ რუსეთი ამიერ-კავკასიაში დამკვიდრების ხანაში ეკონომიურათ ძლიერ ჩამორჩენილი იყო და მას არ შეეძლო ეთამაშა ეკონომიურათ შემოქმედებითი როლი. წარმოების ყველა ის დარგები, რომლებზეც მილიუკოვი ლაპარაკობს, განვითარდნენ ჩვენში რუსეთის ბურჟუაზიის გარეშე და ზოგჯერ მისი სურვილის წინააღმდეგაც. მარგანეცის, ნავთის, თამბაქოს, აბრეშუმის, ბამბის მრეწველობაში მთავარ როლს თამაშობდნენ ადგილობრივი მკვიდრი ძალები და უცხო კაპიტალისტები, ხოლო რუსის კაპიტალი ან სულ არ იყო, ან ძლიერ მცირე. ეს მილიუკოვმაც კარგათ იცის და ამიტომ ის ლაპარაკობს მთავრობის როლზე და არა რუსის ერის შესახებ.

არც ეს არის მართალი. რუსის მთავრობა უმეტეს შემთხვევაში ცდილობდა ხელი შეეშალა, ადგილობრივთ განვითარებულყოფიერ მრეწველობა და რაც კი შეეძლო, ბორკავდა ადგილობრივ საწარმოო ძალებს. მაგალითათ ავიღოთ ჭიათურის მარგანეცის ისტორია, რომლის გადასაწიდავ ტარიფს რკინისგზაზე ხელოვნურათ ადიდებდნენ. და თუ იგი მაინც განვითარდა, ეს მიეწერება ერთი მხრით იმას, რომ ასეთი კარგი ხარისხის მარგანეცი მთელ მსოფლიოში ძლიერ ცოტა მოიპოვება და მეორეს მხრით ადგილობრივი ელემენტების უნარიანობას და უცხო კაპიტალს.

სამაგიეროთ ჩვენ ვიცით მეორე ფაქტი, ეს ის, რომ რუსის მთავრობა ადგილობრივ სიმდიდრეს ხელაშლით ურიგებდა რუსებს და ხელს უწყობდა ამ ელემენტების გაძლიერებას ადგილობრივ. 1866-1875 წლამდის კავკასიაში მეფის მთავრობამ დაურიგა უფასოთ დამსახურებულ რუსის მოხელეთ 26 ათასი დესიატინა საუკეთესო მიწა, ხოლო 50 ათასი გაყიდა რუსის მოხელეებზე სულ მცირე ფასებში. 1880 წ. გენ. სტაროხელსკიმ, თავადმა ვიტგენშტეინმა და სხვებმა შეიძინეს რამდენიმე ათი ათასი დესეტინა ბაქს ნავთიანი ადგილები 10-15 მანეთათ დესეტინა და ეს მოხდა მას შემდეგ, რაც რომ მთელი ეს მიწები 1873 წლიდან გამოცხადებული იყო ხელშეუხლებელ სახელმწიფო ფონდათ და კერძო პირთ არ შეეძლოთ შეეძინათ საკუთრებათ. რასაკვირველია რუსები ამ «ნაჩუქარ ქონებას» ყიდდნენ ან ადგილობრივ ელემენტებზე, ანდა უცხოელებზე უფრო მა-

\*) ეს ცნობები ამოღებული პ. ბერლინის წიგნიდან «რუსეთის ბურჟუაზია».

ღალ ფასებში. ადგილობრივი ხალხის დოვლათის გავლანგავამ ისე ფართო ხასიათი მიიღო, რომ გაწვით «გოლოსი» იძულებული შეიქნა, ხმა აღმალღებია და გაკვირებით ეკითხა: «ჩვენ გადაჭრით არ ვიცით, ბოლოს და ბოლოს როდის გამოიყიდის სახელმწიფო თავს კავკასიის მოხელეებისგან იმ დამსახურებისთვის, რომელთაც მათ სამშობლოს წინაშე მიუძღვით, და როდის მოეღება ბოლო სახელმწიფო ქონების ფლანგვასო».

ასეთი იყო რუსეთის მთავრობის «ეკონომიური მოღვაწეობა» ჩვენში. საუბრობდა სულ მცირე ობიექტივობის გამოჩენა, რომ დაინახა, რომ რუსეთის მრეწველები და მისი მთავრობა—ხელს უშლიდნენ ჩვენში ეკონომიურ განვითარებას. და განა ამას მართლ

მეფის რუსეთი ჩადიოდა? ეს იყო საერთო რუსეთის პოლიტიკა და როცა იგი ბოლშევიკებმა ცოტათი გააბრუნდეს—მთელი რუსული პრესა და მათ შორის პირველი კერენსკი, რომელსაც თავი დემოკრატთა და სოციალისტთა მოაქვს, გაყვირის: დავილუპეთ, ამიერ-კავკასიაში ბოლშევიკები ქარხნებს და ფაბრიკებს აშენებენო. ამ მხრით პროვოკაციასაც კი ეწევიან. კერენსკი «დნიში» სომხებს ქართველებზე აქეზებს. სტალინი მათ ეხმარება და თქვენ კი არაო, ხოლო «რული» (ამა წლის 20 იანვრის მეთაური) უსირცხვილოთ სწერს—რუსის გლეხის ფულებით ამიერ კავკასიაში აშენებენო.

(დასასრული იქნება)

კაჭი.

### მ ვ რ ო პ ი ს რ ი კ ო ნ ს ტ რ უ შ ე ც ი ა

ერთი ერთი—ერთი სახელმწიფო. ეს ბუნებრივია. ერის წარმატება მხოლოდ ეროვნულ სახელმწიფოს ფარგლებში შეიძლება. ამას გვასწავლის წარსული. ამისვე მოწამე ვართ დღეს. ამიტომ ყოველი ერთი ისწრაფვის, საკუთარი კერა მოაწყოს, დამოუკიდებელი პოლიტიკური არსებობა შეიქმნას. რამდენათ კულტურულია ერთი, იმდენათ მეტია მასში დამოუკიდებლობის სიყვარული. მაგრამ დამოუკიდებლობა ვერ იქნება კარჩავეტილობა, აბსოლუტური სეპარაცია. დღეს ურთიერთ გავლენას ვერავინ გაეჭყევა, ვერც დიდი და ვერც პატარა ერთი. ეს ურთიერთობა ყოველ დარგში იხატება: მორალში, უფლებებში, ეკონომიკაში. ის, რაც საკაცობრიოა ერთში, მას საერთოსაკენ, უნივერსალიზაციისაკენ იზიდავს, თავისებური კი განკერძოება—ინდივიდუალიზაციისაკენ. ეს სწრაფვა საერთოსა და თავისებურებისაკენ თითქოს ერთი მეორის უარყოფით მოვლენაა, მაგრამ არსებითად ურთიერთ შემგვები და დამთავებელი. ერთი თავისებურობაში იბადება და საკაცობრიოში მტკიცდება.

დიდმა ომმა სულ ერთიანათ შესცვალა ძველი ურთიერთობანი: გადაიმიჯნა პოლიტიკური ქარტა, გადახალისდა მორალი, მოხდა სიმდიდრის გადაჯგუფებანი როგორც შიგნით ერთში, ისე ერთა შორის, ახალმა ვითარებამ წარმოიშვა ახალი უფლებბრივი ნორმები, დაიბადა ახალი პერსპექტივები, ახალი შესაძლებლობანი და ახალი მეთოდები ამ შესაძლებლობათა მისაღწევათ.

არასოდეს ისე ძლიერი არ ყოფილა საერთაშორისო სოლიდარობისაკენ სწრაფვა და ამავე დროს ეროვნულ თვითდამკვიდრების სურვილი, როგორც დღესაა.

ომის საშინელებანი დღეს ყველას თვალწინ უდგას. მან ყველასათვის აშკარა დასანახი გახადა, რომ დღევანდელ პირობებში იარაღით საერთაშორისო საკითხების გადაჭრა ძლიერ სახიფათოა და არა მიზანშეწონილია. აქედანაა ცდა ბრძოლის მეთოდების შეცვლის. ერთა ლიგა ამ ახალი ტენდენციის პირველი ეტაპია. ის უდიდესი ცდაა არსებულ კულტურათა დაზღვევის მოსალოდნელ კატაკლიზმისაგან. შემ-

ლებს თუ არა ერთა ლიგა ქვეყნის ხსნას, ამას მომავალი დაგვანახებებს, ხოლო დღეს ერთი კი უდავოა—დღევანდელი სოციალ-პოლიტიკური წყობა ჩიხშია მოქცეული და ჩვეულებრივი გზით მისი აქედან გამოყვანა შეუძლებელია. საუბრობდა რადიკალური საერთაშორისო ცვლილებანი, რომ ეროვნულ და საკაცობრიო კულტურას ნორმალური განვითარების გზა გაეხსნას. ამას გრძნობს დღეს ყველა წინდახედული პასუხისმგებელი საზოგადო მოღვაწე და შესაფერისის პრაქტიკულ საშვალელებს ეძებს. ერთ ამ პრაქტიკულ საშვალეებათ ვეროპის პოლიტიკურ და ეკონომიურ რეკონსტრუქციას ასახელებენ. ამის შესახებ იწერება საგაზეთო წერილები, სერიოზული გამოკვლევები, იკითხება მოხსენებები კომპენტენტურ ყრილობებზე და სხვ. ევროპის შეკავშირება ეროვნებათა თავისებურობის და სუვერენობის დაცვის ნიადაგზე.—დედააზრია ყველა ამ საქმიანობის.

შეკავშირების იდეას დიდათ შეუწყობ ხელი ეკონომიურ შეთანხმებებმა, რომელთაც ქონდათ ადგილი უკანასკნელ ხანებში ევროპის სახელმწიფოთა შორის.

ასეთია, მაგალითად, საფრანგეთ-გერმანიის შეთანხმება გვარჯილის შესახებ, დადებული 1924 წ. აგვისტოს, რომ მოეწესრიგებიათ ორივე ქვეყნის ექსპორტი ამერიკის ბაზარზე, და გაგრცელებული 1925 წ. მთელ მათ ექსპორტზე.

ცნობილია, რომ ინდუსტრიის კარტელიზაცია ინტერნაციონალურ მასშტაბში დიდი სისწრაფით ვითარდება. ამ ნიადაგზე, უმეტეს შემთხვევაში, ხელშეკრულებანი უკვე დადებულია.

აქ, რასაკვირველია, ერთგვარ როლს თამაშობს საერთაშორისო სოლიდარობის იდეა, რომელიც ბუნებრივი რეაქციაა დიდი ომის წინამდებ, მაგრამ გადაჭრული მნიშვნელობა მინც ეკონომიკას ეძლევა. აი რას ამბობს დღევანდელი ევროპის ვითარების შესახებ ცენტრალური ევროპის ეკონომიური კონფერენცია, რომელსაც ქონდა ადგილი 1925 წელს 8-9 სექტემბერს ვენაში: «ცენტრალურ ევროპის ეკონომიურ კონფერენციის აზრით, ცენტრალურ ევროპის მიმე ეკონომიურ მდგომარეობის ერთი მთავა-



რი მიზნებთან არის ნაციონალ-ეკონომიკათა თითქმის სრული იზოლაცია. ეკონომიური ორგანიზმი ცენტრალური ევროპისა დაფლეთილია. იგი დაყრდნობილია მეტად ვიწრო ბაზაზე და ამიტომ მისი სტრუქტურა ირრაციონალურია. კონფერენციის აზრით, ამ მდგომარეობიდან გამოსვლა შესაძლებელია ეკონომიკისათვის ფართო ბაზის შექმნით, ეკონომიურათ სოლიდარულ ქვეყნების კოოპერაციის მეშვეობით. ამ მიზნით უნდა დაიდოს მთელი რიგი ხელშეკრულებათა, რომელნიც თვითუფლები ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიურ სუვერენობის ნიადაგზე მისცემენ ფართო გასაქანს ეკონომიურ ურთიერთობათ. ეს შეთანხმებანი უნდა გავრცელდენ სავაჭრო, სატრანსპორტო და ფულის პოლიტიკაზე.... ამ პრინციპების განსახორციელებლათ კონფერენცია ნიშნავს მუდმივ კომისიას. ცენტრალურ ევროპის წარმომადგენლებისაგან, კომისიას ევალება შეიმუშავოს დაახლოვების საერთო გეგმა. რათა მოამზადოს გზები ცენტრალი ევროპის ერთი მუდმივი, მთლიანი ეკონომიური ორგანიზმის შესაქმნელათ».

სანტერესო იქნება აგრეთვე აზრი ისეთი კომპენტენტური პირის, როგორიცაა ინტერნაციონალურ სავაჭრო პალატის თავმჯდომარე ბ. Leaf, დღევანდელ საერთაშორისო ეკონომიურ ვითარების შესახებ. ის თავის მოხსენებაში 5 მარტს 1928 წ. ამბობს: «სულ ყოველ მხრიდან ერთი და იგივე ჩივილი ისმის მანუფაქტურისათვის ბაზრის მოპოვების შესახებ. საპროდუქციო უნარიანობა არსებობს და საზოგადოთ ის გაცილებით უფრო ფართოა, ვინემ ომის წინ იყო. მაგრამ პროდუქტები განიცდიან სტაგნაციას, რადგან დაბეგრული არიან უცხო ტარიფებით და ჩაკეტილი საბაჟო ზღუდებით;—აქედანაა უმუშავრობა. ინდუსტრიის სტაგნაცია (შეჩერება) და უაზრო ფლანგვა ადამიანის ბატონციალი ენერჯისა. ცხოვრების მთელი დონე დაწეულია ხელეწურათ. ეკონომიური კავშირი მისცემდა ევროპას პროდუქციის დარგში, ქიშპობა გაეწია ჩრდილო ამერიკის შეერთებული შტატებისათვის. ეროვნული შუღლები ჩვენ გვაძლუებენ ისეთი სახის სავაჭრო ბრძოლები ვაწარმოოთ, რაც პირდაპირ თვითმკვლევლობას უდრის. ინტერნაციონალი სავაჭრო პალატის მოვალეობაა გაუხსნას ქვეყანას ეს კორიზონტი».

ევროპაში მსოფლიო ომიდან გაღონიერებული არც ერთი მხარე არ გამოსულა, არც ოფიციალურათ გამარჯვებული ქვეყნები. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა კი კარგათ გამოიყენეს ომით შექმნილი ვითარება. დღეს ეს ქვეყანა დედამიწის უმდიდრესი კუთხეა. ევროპა მისი მოხარკე შეიქნა. ეკონომიურმა ბატონობამ პოლიტიკური გავლენის სურვილები და ტენდენციები წარმოშვა. გარემოება მეტად დამაფიქრებელია. მით უმეტეს, რომ ამერიკის ეკონომიკა, აღწრდილი შინა ბაზარზე, დღეს მსოფლიო ბაზრის მონაპოლიურ ექსპლუატაციას ღამობს. ევროპის სახელმწიფოებს ცალკალკე არ ძალუძთ ამერიკას

წინააღუდგენ, ურთიერთ ქიშპობა მათ კიდევ უფრო დაასუსტებს მძლავრ მოწინააღმდეგესთან ბრძოლაში. აქ ბუნებრივად იბადება ევროპის კოოპერაციის იდეა. ეს იდეა თანდათან პოპულიარული ხდება. ამას მოწმობს შემდეგი ფაქტები: 1926 წ., იანვარში, ბრუსელში შესდგა კონგრესი ადამიანის უფლებათა ლიგების. დღის წესრიგი ამოიწურა საკითხით: ევროპის შეერთებული შტატები; I ივლისს ლონდონში და 12 ივლისს პარიზში შესდგა კრებები, რომელმაც აირჩია კომიტეტი «ევროპის ანტანტის ფედერაციის» შესაქმნელათ; ზავის უნივერსალურმა კონგრესმა (Le Congrès Universel de la paix), რომელიც შესდგა პარიზში 1925 წ. სექტემბერში, მიიღო რეზოლუცია, რომ საჭიროა ევროპის ეკონომიური კავშირი.

ევროპის შეკავშირება ეროვნებათა და ნაციონალ ეკონომიათა სუვერენობის დაცვის ნიადაგზე—ეს იდეა, როგორც ვსთქვით, ოცნებათა სამეფოდან პრაქტიკულ მიწას უახლოვდება. თუ მას განხორციელება ელირსა, ეს იქნება, თუ შეიძლება ასე ვსთქვათ, უდიდესი რევოლუციონური რეფორმა. სტიკიონმა ცხოვრება ქუჩაბანდში მოამწყვდია. საჭიროა აქტიური ჩარევა შემოქმედებითი ძალების და მისი ძირიანათ გადახალისება. არაფერიდან არაფერი იქნება და არვის ძალუძს გაექცეს ცოცხალ სინამდვილეს და სულ ახალი ქვეყანა მოგვეცეს. მაგრამ არსებულ სოციალ-პოლიტიკური წყობის წიაღში ისე ფხვიერია ნიადაგი საამდროვო კომბინაციების შესაქმნელათ, რომ ყოველი ცოცხალი ძალი ამ მიზნით ამუშავებული შესაფერ გამოძახილს პპობებს. ევროპის საერთაშორისო თუ შინა ვითარება ამ ძირითად ოპერაციას ითხოვს. ეს ოპერაცია მისცემს ახალ გაქანებას და სარბიელს ვიწრო ხარზოებში გამოზნჩველ ინდივიდუალურ კულტურებს. მაგრამ ეს რომ მოხდეს, საჭიროა ქვეყნის გამტრება მხრივ გულწრფელი სურვილი და ქეშმარიტი უნარი ცხოვრების აწყობისა თანამედროვე მოთხოვნილებათა და შესაძლებლობათა მიხედვით. და აქ კი კაცობრიობის წინაშე ატუზულია ორი უსაშინელესი ავანტიურისტული ძალა: ბოლშევიკური მოსკოვი და ფაშიზმი. არც ერთი მათგანი შემოქმედებით მუშაობაში დაინტერესებული არაა. არც აქეთ მათ უნარი ასეთი საქმიანობისათვის. ბოლშევიზმი და ფაშიზმი პოლიტიკურმა და ეკონომიურმა დამბლიანობამ წარმოშვა. ისინი ამითვე იკვებებიან და არსებობენ. განიკურნა ქვეყანა—განადგურდა ორივენი. აქედან მათი «საქმიანობის» ხასიათი: ქვეყნის გამოჯანსაღების ხელის შეშლა და მით საკუთარი «ყოფის», თუნდაც ყველას მიერ ათვალისწინებულის განანგრძლივება. ეს ორი ძალა დიდათ უშლის და შეუშლის ხელს ქვეყნის გამომრთელებას. და ეს ევროპის რეკონსტრუქციის მოტრფიალეთ კარგათ უნდა ახსოვდეთ.

ილია ნუკუბიძე.

### ბოროტი ხმები

ეს ერთი ხანია, ჩვენი მტრები ბოროტ ხმებს ავრცელებდნენ და ზოგიერთი შეცდომაშიც კი შეიყვანეს, ვითომ საქართველოს ეროვნულ მთავრობას რამე წილი ედოს, თუ გინდ შორეული, ყალბი ჩერვონცების საქმეში, რომლის გამო სამართალში მიცემულია, ბერლინში, ვინმე სადათიერაშვილი. ამ ხმების გავრცელებაში მოსკოვის აგენტებს ერთობ დიდი «ღვაწლი» მიუძღვით. სახლვარ-გარეთ. საბჭოთა პრესა კი შემთხვევას არ უშვებდა, ლაქა მოეცხო ეროვნული მთავრობისთვის. უკანასკნელი იძულებული შეიქნა ამიტომ მიემართა ვეკილისთვის ბერლინში, რომ მისი-სამუშაოებით ერთხელ და სამუდამოთ ბოლო მოეღო ამ თავნებობისათვის. ჩვენ ხელთა გვაქვს პასუხი გამომძიებლისა ჩვენი ვეკილის მიმართვანზე, 12 თებერვლის თარიღით. აი, რას ვკითხულობთ იქ:

«სამრალმდებლდ დაწესებულებას არავითარი ბრალდება არ წამოუყენებია ყორდანიას მთავრობის ტომელსამე წევრისა ან მის მიმდევრების წინამდევ ყალბი ჩერვონცების საქმეში. აგრეთვე გამომძიების დროს არავითარი იჭვი არ აღძვრია არავის მათ შესახებ».

ამ კატეგორიული განცხადების შემდეგ თავისთავით გასაგებია, თუ რამდენათ საზიზღარი და აღმაშფოთებელი იყო და არის ზემო აღნიშნული ბოროტი ხმები.

### ქართულ მხედრობის დადგენილება

1929 წელს, თებერვლის 10, ქ. პარიზში შესდგა ქართველ მხედრების კრება, რომელსაც დაესწრო 17 ოფიცერი და გარდა ამისა წარმოდგენილი იყო წერილობითი მონაწილეობა 13 ოფიცერისა სხვადასხვა ქალაქებიდან.

სხენებულ ქართველ მხედართა კრებამ იქონია რა მსჯელობა რუსულ გაზეთ «პოსლენდია ნოვოსტი»-ში (№2853, 13 იანვრისა) დაბეჭდილ სამგლოვიარო განცხადების რუსეთის დიდი მთავრის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის გარდაცვალების გამო და მისთვის პანაშვიდის გარდახდის შესახებ—გამოიტანა შემდეგი განაჩენი:

1. არავის არ ჰქონდა უფლება ქართველ მხედრების სახელით არც ამ განცხადების დაბეჭდვისა, არც პანაშვიდის მოწყობისა.
2. რამდენიმე პირის მიერ ამგვარ განცხადების დაბეჭდვა და პანაშვიდზე დასწრება წარმოადგენს ისეთს პოლიტიკურ ნაბიჯს, რომელიც სტოვეებს შთაბეჭდილებას, შინ და გარეთ, თითქო ეს პირნი შორდებიან საქართველოს დამოუკიდებლობის პოზიციას და იმ განმათავისუფლებელ ეროვნულ ბრძოლას, რომელსაც შეეწირა მრავალი ათასი საუკეთესო ქართველი პატრიოტი, და უბრუნდებიან «ნამეტნიკობის» დროის აზროვნებასა და სულისკვეთებას.
3. ქართველი მხედრობის მასსა, დღესაც, როგორც ყოველთვის, ერთსულოვნად და მტკიცედ სდგას გარკვეულ ხაზზედ—სიქართველოში რუსეთის

ყოფილ, არსებულ და მომავალ ყოველგვარ ბატონობის წინააღმდეგ.

კრების თავმჯდომარე: პოლკოვნიკი დავ. ვახნაძე.  
მდივანი: მაიორი ა. კვიციანი.

### სამწუხარო მოვლენა

იანვრის 13, 1929 წ. რუსულ გაზეთში «პოსლენდია ნოვოსტი»-ში მოთავსებული იყო შემდეგი სამგლოვიარო განცხადება:

«ქართველი მხედრები იტყობინებიან, რომ კვირას 13 იანვარს, თავიანთ ყოფილ მეფის მოადგილესი და უმაღლეს მთავარსარდლის თავად ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძის გარდაცვალების მეცხრე დღეს, გადახდილი იქნება პანაშვიდი საყდარში, დარიუს ქუჩაზე წირვის შემდეგ».

ასეთი განცხადება და მეტადრე თვით საქციელი იმ პირებისა, რომელთაც ეს ჩაიდინეს, განციფრებაში აყენებს არამც თუ ქართველ მხედრობას, არამედ ყოველ ქართველს.

საინტერესოა, რას ფიქრობდნენ ეს «ქართველი მხედრები», როდესაც ასეთ განცხადებას სწერდნენ, რამ გამოიწვია მათი საქციელი და რითი ასაბუთებენ ამას?

მხოლოდ ის კი ცხადია, რომ ნამდვილ ქართველ მხედარს არასოდეს არ დასწყებოდა გული, არ დასწერდა ასეთ სიტყვებს, როგორც: «თავიანთ ყოფილ მეფის მოადგილის».. თითქოს საქართველოს თავის სურვილით აერჩიოს და დაეყენებინოს ის მეფის მოადგილედ და გადაეცეს მის ხელში თავის ბედ-იღბალი და თავისუფლება, და არც პანაშვიდს გადაიხდიდა...

ნუ თუ არ დაფიქრდნენ იმაზე ამ საქმის ჩამდენნი, თუ როგორ შეხედავენ და ან რას იტყვიან ამ საქციელზე ის პირები, ერები და საზოგადოება, რომელიც სიმპატიით ეკიდება და მხარს უჭერს ქართველს და მის კანონიერ მთავრობას სამშობლოს მტრების და ჯალათების ხელებიდან განთავისუფლებაში, რომელშიაც ქართველ მხედრობას პირველი ადგილი უნდა ეჭიროს, იდგეს მოწინავე მჭკრივებში და თავის მკოავ-მკერდის ძალით და სხვა საჭირო საქმიანობით და შრომით უმზადებდეს ერს ხსნას და თავისუფლებას? და აქ კი ყველა ამის მაგივრად რამდენიმე პიროვნება ქართველ მხედართავანი, მთელი ქართველი მხედრობის სახელით, გლოვას იწყებს ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის გარდაცვალებანზე, მას პანაშვიდს უხდის და ეგრე გაზეთშიც აცხადებს!..

ნუ თუ დასაგმობი არ არის ასეთი საქციელი? და ნუ თუ ნამდვილი ქართველი, რომელსაც მიზნად თავის სამშობლოს განთავისუფლება დაუსახავს, ამას ჩაიდენს?

ყოველი ქართველი და ქართველი მხედრობა ამ პირების მიერ ჩადენილ საქციელს სასტიკად გააკიცხავს, უადრეს პროტესტს გამოსთქვამს და მოითხოვს მათი პასუხისგებაში მიცემას ეგრე უფუფუბო და ქართველ მხედრების სახელით გამოსვლისათვის ასეთ სამარცხვინო საქმეში.

პაოლუჩივი ლადო მახარაძე.





### აღვლკატუს დიპლომი

რუსეთის ბოროტი სული-ტროცკი სტამბოლში ბაგაეთ გიმოგზანეს. კომპარტიის დალაი ლამა, რომელიც პირადი განდიდების მწვერვლიდან ამოდენა პარტიულ ბრბოს დემონის სიდიადით გადმოპყურებდა; ეს ფატალური პიროვნება, რომელმაც რუსის ხალხის ღია-ნატურალური გრძობა და სიცოცხლის ენერგია ათ წელიწადს დაუსჯელოთ ყვლევა; ტროცკი, რომელიც რუსის ხალხის ინტერესებისათვის ქარის მოტანილი კაცი იყო, და რომელიც ბედის ირონიამ სწორედ ამ ინტერესების სადარაჯოზე დასვა, დღეს გადავადებულია შორს, მათხოვრის ჩანთა აკიდებული და მოუკვლევი ყინით გულ-ვაბზარული. ეს მათხოვრობა პოლიტიკური და მოჯალურია და არა მატერიალური, რადგან სიუხვის რქა მას კარგათ სწყალობდა; ხოლო დაუწყნარებელი ყინი უღონო შუთისძიებდა, რომელიც მას თან გამოპყვა, როგორც ჭრილობაში ჩარჩენილი დანა, ნაკლები ყურადღების ღირსია, რამდენადაც დღეიდან ეს ყინი მისი პირადი ცხოვრების ტრალეღია.

ლენინის შემდეგ თითქმის ტროცკი უნდა ყოფილიყო პარტიის ყოფაქცევისა და ზრახვების მოკარნახე, მაგრამ ჯამბაზობის მეტმა უნარმა თუ ფიზიკური ხვედრითი წონის სიჭარბემ ბატონობის სასწორი ჯულაშვილისაკენ გადასწია, ტროცკის ამაღა კი გაბუზული და სახტედ-დარჩენილი ოპოზიციის ბაღჩაში მოაკალათა. ამიერიდან ე. წ. მონოლიტურ (ერთიანი) პარტიში ჩადება დუალიზმი. ამ ჭიდილმა ნელ-ნელა გაიარა ინტრიგისა და ქიშპობის ეტაპები, რასაც დაერთო ოპოზიციონერების ზურგზე ჯერ თოფის კონდანის ზრდილობიანი მოქნევა და ბოლოს საერთოდ ოპოზიციის ფალავანთა თეძოს ამოგდება. ტროცკი თანდათანობით ჩამოსწიეს პარტიული იერარქიის კიბიდან და ჯულაშვილის პოლიტიკანობის სათამაშო მაგიდაზე ჭადრაკის ერთელის როლში გამოაწყვეს. და აი აქ, უბრალო მოქალაქედ ქცეულ სანოვნიკს თითქმის დაავიწყდა არსებული რეჟიმის სუსხი ატმოსფერა და... იანვარში მარწყვი მოითხვა. ეს იანვრის მარწყვი გახლდათ ადამიანის და მოქალაქის უფლება, რომლის სათუთი ყლორტი ბატონმა ტროცკიმ რუსეთის რევოლიუციის გაზაფხულშივე ძირიანად ამოგლიჯა და ცინიკურად გასთელა. ტროცკის მაშინ მოავგონდა ადამიანისა და მოქალაქის უფლებები, როცა თვითონ დასტუქსეს, პოლიტიკური გაშავების ლაფით შემეუსრეს და ციბიტირის საყინულეში მუშაით შეინახეს.

რომელს უფრო დაშვენდებოდა ამ ორ მოქიშპეთა შორის დიქტატორობა? ფუქია იმის ძიება, თუ რომელი გამოდგება ორ მშოიერ მეგლში უფრო ღმობიერი. იქ, სადაც სინდისი დიდხანა კუჭმა სარჩულად გამოიკერა; სადაც ბნელი ინსტიქტისათვის ყურისგდება და ბატონის მიერ გადმოგდებული პოლიტიკური ძვლის გახვრა დიდ შემოქმედებათ მიახნიათ; სადაც პარტიის ყოფაცხოვრება პარამხანის ყოფაცხოვრების დონეზე გაყინულა, იქ მნიშვნელობა იმას კი არ აქვს, თუ ვინ არის ბატონი მთელი ამ საწყალი და საძაგელი ბანდისა, არც იმას, თუ რომელ

დღეს რა გუნებაზე ბრძანდება ტირანი, არამედ იმას თუ რა ემართება ტირანიას, როგორც სისტემას, და როგორის ბუნებით ვითარდება მისგან გამომდინარე გარდაუვალი წინააღმდეგობანი.

ამ მხრით ტროცკის მაგალითი საგულისხმიეროა. მან პირველმა გააქიქა საბჭოთა უცოდველობის რევუტაცია და სოვეტების შინაყმობაში დასაჭურისებულ ჩვარის ადამიანებს «რასკოლის» ფერმენტი შეაპარა. შეაპარა, მაგრამ ვერას ვახდა, რადგან არ კმაროდა მარტო დახვეწვა გონების სამყაროსი, არც კერაზე პროტესტის წარწერა და ნაცრის გასაქეჩი ჩხირების დემონსტრაცია. ტროცკიმ კომპარტიას პლუტოკრატია უწოდა და ის ცდუნების მსხვერპლათ გამოაცხადა. მართალია, ყველაფერი ეს შემდეგ მოხდა, როცა ტროცკის კრემლიდან კუდიტ ქვა ასროლიეს, მაგრამ თვით ფაქტი მისი ორიგინალური მოქმედებისა აღნიშნავს ბოლშევიზმის ისტორიაში იმ ხანას, საიდანაც მთლიანობის ილიუზია პერში იბნევა და იწყება ენათა შერევა.

ტროცკის ცოცხლად შესუდრული ლეში ამ უამად სტამბოლის საკონსულოს წილხდომიღია, მაგრამ იმ ლეშში მოსახლე ბოროტი სული რუსეთში დარჩა, იქნებ შემთხვევით ერგოს კიდევ სატანის საჯდომელი.

გარდა იმისა, რომ მისი სინდისი (კი, მაგრამ აქვს მას სინდისი?) დატვირთულია მილიონ ადამიანთა მოსპობით, ტროცკი ეროვნებათა დაუძინებლი მტერი იყო. კერძოდ საქართველოზე დასანთხევი შხამი მას არასოდეს გამოლეგია. თუ დღეს ქართველი საქართველოს გერია და მშობლიურ კერასთან ვერ მიდის იქ ინტიმურად მორახათებულ უცხო მედროვეთა წყალობით, ამაში ლენინზე ნაკლები ღვაწლი არც ტროცკის მიუძღვის. ეს ორი ლეში ორი თვალბედითი ყარანია ჩვენი ეროვნული არსებობისათვის.

### საბჭოთა საქართველოში.

24 იანვრის «კომუნისტი» ქართული მწერლობის წინააღმდეგ ამხედრებულა. როგორც წინად ტფილიის ამოხრებელ ურდოებს სიონის ტაძრის ზარის ხმა შიშსა და ქრუანტელს გვრიდა, ისე დღეს მოსკოვის ფინიებს და პამპულა ხალხს ქართული კულტურის არსებობა გულზე ლოდათ დასწოლია.

აი მწერლობა მაგალითად. ბოლშევიკური გეგმის მიხედვით, ქართულმა სიტყვა კანშულმა მწერლობამ არსებულ ბოროტებას უმანკოების კაბა უნდა ჩააცვას და სიმანხიჯე სრულყოფის იდეალათ გამოხატოს. მაგრამ ქართული მწერლობა თურმე დიდხანა ეშმაკეული გამხდარა, ბრძანების ასრულებას გაურბის, თავისუფლებას გამიჯნურებია. განსაკუთრებული აღშფოთება გამოუწვევია «არიფიონის» სახელით ცნობილ ჯგუფს, რომელიც აღნიშნავდა, რომ «საბჭოთა ქვეყნის ერებს შორის ქართველობა განსაკუთრებით დატვირთულია კულტურული და სახელმწიფოებრივი ტრადიციებით»-ო. ან და კიდევ: «ჩვენ ველოდით კრიტიკული პერიოდი გათავდებოდა და ორგანიული პერიოდი დაიწყებოდა, ნგრევას შემოქმედება მოჰყავებოდა»-ო. ამ ორი დე-

ბუღალტრების ნაკლი ისაა, რომ ორივე სწორია, და ბოლ-  
შევიკებიც იმიტომ გაუგულისებია. მთავრობა, რომელსაც ასეთი მშვიდობიანი და მიუდგომელი გან-  
ცხადების ეშინია, თავის (პირზე კლიტე დადებულ)  
მრევლს ემუდარება. თვითკრიტიკას შეუდექი და აპა-  
რატის ჩუმი ცოდვები ამხილე; მაგრამ უნდა ამხილო  
საკუთარ გულში, მარტო ღვთის გასაგონათ: განა  
ესეც თვითკრიტიკაა და არა მოტყუილებისა და  
კრუმორწმუნოების რაღაც სექტანტურ-მასონური  
შენარევი?

მახლას! სადი ეროვნული ელფერი და ცხოვრე-  
ბის სწორი ასახვა ქართულ მწერლობას დანაშაუ-  
ლათ ჩაუთვალეს. «არიფიონი» დასურეს. მაგრამ რა-  
ტომ? «არიფიონი» თუ არ ვარგოდა, თქვენი არა-  
ფიონი ბევრით სჯობნიდა, ბატონო ბოლშევი-  
კებო?

კომპარტიკაში ბზუილს დაჩვეული წითელი მუმი-  
ლი, ვიღაც მამულია, ერთ ნიჟიერ მწერალს კალამს  
უწუნებს: შენი მოთხრობა «დამპატიყე» საბჭოთა  
ცხოვრების ცუდ მხარეს ააშკარაებს და არ ვარგაო  
საბჭოთა თვალსაზრისით მართლაც რომ არ ვარგა,  
მარტო ეს სათაური «დამპატიყე» რად ღირს, რა სა-  
დათ და სწორად ახასიათებს სოფლის პარაზიტის  
ფსიქოლოგიას. მის მოჩლოუნებას და გადაგვარებას,  
მის უსაზღვრო ლტოლვას ფიზიოლოგიური გაძლ-  
მისაკენ! ბოლშევიკების შინა-კაცი თავის კაცობას  
ადვილად გაყიდის, ოღონდ ქერზე დააბი; თუ  
გინდ ხელზე დაიხვიე, ოღონდ ხურჯინი დაიტე-  
ნოს.

ასეთია დღევანდელი რეჟიმის მიერ შექმნილი  
სანდო და ლეგალური ადამიანი, რომლის დასრუ-  
ლებული ტიპი «დამპატიყეს» ავტორმა თავის «ჯა-  
ყოს ხიზნებში» დაგვიხასიათა. და განა მწერალი და-  
მნაშავეა, რომ ბორჯბი, ბანჯგვლიანი და მახინჯი  
სულის პატრონი ჯაყო არსენა ოქლაშვილის როლ-  
ში ან გვიჩვენა?

ან ყველაფერი ჩვენი უნდა იყოს. ან არაფერი  
არ იყოს; ან აბსოლუტური თავისუფლება უნდა  
არსებობდეს. ან ყაზარმის ობსოლიუტური რეჟიმი;  
მესამე გამორიცხულია. ამ სიბრძნით აღჭურვილმა  
კომპარტიკამ მწერლობას შეუტია და სურს იქ უდა-  
ბნოს სიჩუმე დაამყაროს.

მაგრამ უდაბნოში ოაზისებია და იქ სიცოცხ-  
ლის წყარო მარადი ხალისით სჩქევს.

ია,

### საპარტიკო მემოგრაფია საზოგადოება

25 თებერვალს საძირკველი ჩაეყარა ერთ ფრიად  
სიმპატიურ ორგანიზაციას—საქართველოს მეგობა-  
რთა საზოგადოებას. ეს იყო დამფუძნებელი კრება,  
რომელმაც დაამტკიცა წესდება (დამოქვეყნებული  
საფრანგეთის «Journal officiel»-ში შარშან 15 აგვის-  
ტოს) და აირჩია საზოგადოების აღმასრულებელი  
ორგანოები.

საზოგადოების წევრთა რიცხვი 140 აღწევდა კრე-  
ბის დღეს და შეუჩერებლათ მატულობს. დიდი უმ-

რავლესობა არიან ფრანგები, რა თქმა უნდა, თუმცა  
არის მცირე ჯგუფიც ინგლისელთა და ამერიკელე-  
ბის. ვინაიდან საზოგადოება ფრანგულია, მასში არ  
შედიან, თავისთავათ მისახვედრია, ქართველები.

მიზანი საზოგადოებისა არის ქართული საქმის  
სამსახური და განვითარება გონებრივ და ეკონომი-  
ურ დამოკიდებულებისა ფრანგებსა და ქართველებს  
შორის.

მოქმედების მთავარი ფორმები არიან: ლექციე-  
ბი, მოხსენებები, გამომცემლობა, ინფორმაცია, სტუ-  
დენტების დახმარება და სხ.

საზოგადოება ირჩევს კომიტეტს 20-30 წევრის-  
გან, კომიტეტი ირჩევს თავის ბიუროს.

ბიუროს და აქედან საზოგადოების თავმჯდომე-  
რე არის ჩვენი ნაცადი მეგობარი ბ. აბელ შეველი ი.ე.  
საფრანგეთის ელჩი და ყოფილი უზენაესი კომისარი  
ამიერკავკასიაში. გენერალური მდივანი—ქ.ნ. თე-  
ლიკო კოკე ნიკოლაძისა, რომელიც ცნობი-  
ლია, თავისი ქმრის პოლკ. კოკესთან ერთათ,  
თავისი დაუღალავი მოღვაწეობით ჩვენი სტუდენტ-  
ების და მუშების სასარგებლოთ. მოლარე—ბ.ნი-  
პერო, ერთ ერთი დირექტორი ბანკი «Crédit Lyon-  
nais», ჩვენი გულწრფელი მეგობარი.

ჩვენ არ ვასახელებთ სხვა პირებს, უადგილობის  
გამო, ვიტყვი მხოლოდ, რომ ბევრია მათ შორის  
ცნობილი საფრანგეთის გარეთაც: დიპლომატები,—  
გენერლები, ეპისკოპოსები, პროფესორები, მწერ-  
ლები, ყურანლისიტები, ხელოვანები... ერთი სიტ-  
ყვით, საზოგადოების ყოველი წრიდან, პირები,  
უანგაროთ დაინტერესებულნი ჩვენი ქვეყნის სვე-  
ბედით.

თავმჯდომარემ ბ. შევალიემ საზ-გასმით აღნიშნა  
თავის გრძობიერ და იმავე დროს დასაბუთებულ  
წერილში, რომ საზოგადოება არ არის პოლი-  
ტიკური ორგანიზაციაო, მისი მიზანი ორი  
ერის ურთიერთი გაცნობა, დაახლოება, დამეგობრე-  
ბაო, ავრთვე მორალოები და ნივთიერი დახმარება  
ქართულ ემიგრაციისთვის, რომელიც ასეთის სიამა-  
ყით იცავს თავის ეროვნულ «მე»-სო—ამიტომ გან-  
გრძობს ბ. შევალიე, ჩვენ არ მოგვიწვევია საზოგა-  
დოებაში არც ერთი დეპუტატი თუ სენატორიო,  
ჯერ ასე ვარჩიეთ და შემდეგ კი გნახოთო.

კრებას დაესწრო რამდენიმე ათეული ქართველი,  
მათგან ერთმა გულწრფელი მადლობა უძღვნა და  
უსურვა აყვავება ახლათ დაარსებულ, საქართველოს  
მეგობართა საზოგადოებას.

ამ მსურვალე სიტყვებს სავსებით უერთდება  
ჩვენი გაზეთი.

საპატიო თავმჯდომარეებად აარჩიეს: ბ. გ. რი-  
სლეი, თავმჯდომარე სოციალურ მუზეუმისა, რომ-  
ლის მშენიერ დარბაზში თვით ეს კრება მოხდა;  
ყან მარტენი, საქართველოს დამხმარე საერთა-  
შორისო კომიტეტის თავმჯდომარე ყენევაში; და  
მარკინი დე ბაი (ადრე ბარონი), ცნობილი თა-  
ვისი აღწერებით საქართველოს სიძველეთა და მთე-  
ლი პროვინციების.



იტალიური ფეკციები-3.

ლატერანის ტრაქტატი

59 წლის განმავლობაში უძრავთ იდგა «რომის საკითხი»—La questione romana: გაერთიანებული იტალიის მთავრობამ, კადორნის ჯარების მეორე 1870 წელს რომის აღების შემდეგ, სხვადასხვა გვარი კომპენსაცია შეაძლია საპაპოს, მაგრამ ამის საპასუხოდ განრისხებულ პიო მე-9-საგან წყევლა და ინტერდიქტი მიიღო. უამთა მსვლელობამ ურთიერთობა კვირინალს და ვატიკანს შორის ვერ გააუმჯობესა. «მონტეკკი და კაპულეტტი» ბუტილობას არ იშლიდენ უამრავი კათოლიკების დასამუწურებლად. განსაკუთრებით კი იტალიელაბისა, რომელთაც პაპისათვისაც კარგი ჰსურდათ, ამავე დროს არც სავაის დინასტიის წყენა უჯდებოდათ უკუაში...

უნდა ითქვას, რომ ამ დავას იტალია უფრო მეტის სიმწვავეით იტანდა, რადგანაც მთელი თანაგრძობა მსოფლიო კათოლიკობისა პაპის ტახტისაკენ იყო. ვითარცა «დაჩაგრული» მხარისა; მეტისმეტ შეუტიგებლობას მუდამ იჩენდენ ეგრეთ წოდებული ულტრამონტანისტები, რომელთაც მინიმუმის აღსრულებაც საპაპოს წართმეული ტერიტორიალური სამფლობელოს აღდგენაში ეჩვენებოდათ... რომი ინტერნაციონალურ-კათოლიკური, რომი წმიდა ტახტის სარწმუნო და ბეჯით ქვეშევრდომთა შემკრეფი და თავსაყუდელი, მოციქულთა თავის საყდარი, რომელსაც ჯოჯოხეთის ბუენი ვერა სძლევენ, რომლის საუკეთესოებელი ტიარა საფხოვნებელსა და წარსაწყმედელ კლიტეთა ზედარს დამყარებული. სადაც უცდომელი ქრისტეს ნაცვალი (ვიკარი) უმზარიტებს წარმოსთქვამს და დოგმებს აღბეჭდავს.—აი პოლიტიკურ-რელიგიური აღსარება უცხო ტომის კათოლიკების: აქ ყველაფერი მარტივია და ნათლად გამოსახული. მაგრამ სწორედ ეს სიმარტივე და სინათლე ნაკლებათ იწინადადა იტალიელ კათოლიკებს! რელიგიურ სიმტიცივეში ამათ ვერავინ აღმატება და პაპისადმი უგულუბეზყოფაც ვერ დაეწამებათ. გარნა არც ის არის ადვილი, რომ იტალიელმა თავის ვინაობაზე უარი განაცხადოს: დიდის ვივიგლოხით გაერთიანებული და ეროვნულად შედუღებული ქვეყანა ძალების გაერთიანებასაც ითხოვდა, გარკვეულ მიმართულებასა და ნებისყოფას იმ მრავლისაგან მრავალ სიმნელეთა დასაძლევათ, რაც იტალიის სამეფოს ლანდივით უკან სდევდა. ასეთ პირობებში რაც უნდა დიდი ყოფილიყო. პაპისადმი სათნო განწყობილება, ეს გარემოება მაიმც ვერ გადაჰხრიდა იტალიელების ეროვნულ შეგნებას მთლიანი სახელმწიფოს შენახვისა და განდიდების საჭიროებისაგან. ჯიოლიტის და მის მომდევნო სამინისტრების ხანებში «რომის საკითხი» სავეებით წაშლილი იქნა დღიურ პოლიტიკიდან, მასზე შეჩერება ლიბერალურ მთავრობების «ურბოე ტონადი» იყო მიმჩნეული: იტალია ვიტიკანის საწინააღმდეგოსა და საზოგადოთ ანტიკლერიკალურ გზას დაადგა ამ მდგომარეობის მთელი კონკრეტი შედეგებით.

იცვალენ დრონი...

წელიწადზე მეტი სწარმოებდა საიდუმლო მოლაპარაკება მეფის და პაპის წარმომადგენელთა შორის.

ვატიკანმა გამოუშვა ასეთ საქმეებში გამობრძმედილი იეზუიტები, რომელთა შორის ერთი მუსოლინის ახლო მეგობარი აღმოჩნდა—დიდათ გავლენიანი ბერი, მთელს იტალიაში უკეთესი საეკლესიო ორიტორი.

II თებერვალს სან-ჯოვანის ლატერანის პალაცოში შეკვხდნენ ერთმანეთს 59 წელიწადის უმძრახანი—იტალია და პაპის ტახტი! მოხდა შერიგება.

იტალიამ ფერი იცვალა! ხალხმა იხილა პაპისა და მეფის დროშები ერთად გადმოფენილი...

ჩოჩქლია უცხოელ ულტრამონტანისტებში: პაპმა «ისავის შექამანდი» მიიღო და ვატიკანის ზეწაციონალურ სახეს იტალიის ჩრდილი მიაცენა...  
რ. ინკილო.

დღის ხაკითხი

ამერიკულ გაზეთებში დაიბეჭდა იტალიის საგარეო საქმეთა ყოფილ მინისტრის სფორცას წერილი რომის ეკლესიის და იტალიის სახელმწიფოს ურთიერთობის შესახებ. საჭიროთ მიგვანჩია გავაცნოთ ჩვენს მკითხველებს მოკლედ ამ საინტერესო წერილის შინაარსი:

«რომის საკითხი» დაიბადა იმ დღეს, როცა მოხდა იტალიის გაერთიანება ერთ ეროვნულ სახელმწიფოდ. გაერთიანებამ მოსპო პაპების სახელმწიფო და მათი მართებლობა და დაუმორჩილა ისინი, როგორც სხვა ყოველი მოქალაქე და საზოგადოება მთლიანი იტალიის საერთო სახელმწიფოებრივ კანონებს. ღლო ამავე დროს პაპი და მისი ორგანიზაციები აღუბრვილ იქნა ყოველგვარის უფლებით და უპირატესობით თავისუფალი მოღვაწეობისათვის. «თავისუფალი ეკლესია თავისუფალ სახელმწიფოშია». გამოაცხადა გაერთიანების უდიდესმა მოღვაწემ კავურმა: «და ეკლესიის ღირსება და პატივისცემა არ უნდა იყოს დამოკიდებული ამა თუ იმ ტერიტორიის ნაჭერზე». ნუ დავივიწყებთ, რომ კავური მეტად მორწმუნე კათოლიკე იყო. ამ გზას ვაკვეენ კავურის მოწაფეები და მემკვიდრეები და მათი მისწრაფება გამოხატავდა იტალიის ერის საუკეთესო სულისკვეთებას. იტალიის უპირველესი კათოლიკე პოეტი დანტე ამბობდა, რომის ეკლესიის უბედურებაა, რომ სახელმწიფოს წარმოადგენსო. მე-19 საუკუნის დიდი კათოლიკე მწერალი მანცონი აღტაცებით მიესალმა რომის ეკლესიის განთავისუფლებას...

მაგრამ პაპი შეუტიგებელი დარჩა და პიო მეცხრემ, რომელიც 1846 წელს, თავის კურთხევის დღეს ღმერთს შეევედრა—იტალია უცხოელებისაგან განთავისუფლეო.—ვერ შეიგნო თავისი დიდი შეცდომა, რომ 1870 წ. რომის ეკლესიის ბედი დაუქავშირა ავსტრიის ბატონობას.

გავიდნენ წლები და «რომის საკითხი» თანდათან მოკვდა. თვითონ პაპებმა დაინახეს, რომ ჩვენს დროში თეოკრატიული სახელმწიფოს არსებობა შეუძლებელია. მოხდა ერთგვარად პაპების ხელისუფლების და სახელმწიფოს გამიჯვნა, მოწყო მათი თანამშრომლობაც. და ყველა ისე უცქერდა საქმის ვითარებას, რომ ეკლესია და სახელმწიფო იტალიაში ერთმანეთს არასოდეს დაეჯახებიან, არც გადაეუღობიან.

### უცხოეთის მიმოხილვა.

#### ერთგვნი უმცირესობანი.

ლუვანოს «მუშტის» შემდეგ ყველას ეგონა, რომ რალაც არაჩვეულებრივი შეხეტქება მოხდებოდა ეენევაში, ერთა ლიგის საბჭოში. არაფერი ამის მზგავსი! პირიქით. შტრეხემანი და ზალესკი წინასწარ შეთანხმდენ, სხვების ჩაურევლათ, და არავის სმენია მათგან არამც თუ მუშტის მაგიდაზე დაკვრა, უბრალო აწეული ხმაც. გერმანულ და პოლონურ უმცირესობათა ჩივილს ორსავე ქვეყანაში მათ უპოვეს ერთგვარი კომპრომისული გზა და საბჭოც მაშინვე დათანხმდა ამაზე.

მაგრამ სხვა ერთგვალ უმცირესობათა კითხვა საზოგადოთ, რომელიც ერთა ლიგის წინაშე სდგას, დღიდან მისი მოვლინებისა, და დიდათ აფიქრებს მთელს ევროპას. ვერსალის მიერ შექმნილი ახალი საზღვრები ჰქმნის აქა-იქ ისეთ მოზრდილ უმცირესობათ, რომ მათი უყურადღებობა კარგს არ უმზადებს მშვიდობიანობას. ამას გრძნობდენ თვით ზავის ავტორნი და ამიტომ ზოგიერთ სახელმწიფოს (პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია, რუმინია, იუგოსლავია) ჩაუწერეს პირობაში ესა თუ ის გარანტიები უმცირესობათა სასარგებლოთ. ამ კაცთმოყვარე ზომას მათ ზედ დაურთეს ერთი უსამართლობაც: არავითარი გარანტიები მოუთხოვიათ დიდი სახელმწიფოებისათვის, თუმცა მათაც ჰყავთ ერთგ. უმცირესობანი. სიანტერესოა, რასაც სხვებს მოსთხოვდენ, თვითონ არ ასრულებდენ, და აქედან ზევით დასახელებულნი სახელმწიფონი დიდ ანგარიშს არ უწევენ საერთაშორისო ვალდებულებას. სავალალო კიდევ ისაა, რომ ერთა ლიგაც, რომელსაც უმცირესობანი მიმართავდენ, ვერ იჩენდა სათანადო აქტივობას, იმავე დიდი სახელმწიფოების მეოხებით. ამიტომ საჩივრები უმეტეს შემთხვევაში განუხილავთ და უპასუხოთ რჩებოდა. იყო შემთხვევაც, როცა ერთა ლიგაში გაისმა ხმა, და ეს ხმა კი ეკუთვნოდა ერთ-ერთ დიდ სახელმწიფოს, რომ უმცირესობათა მომავალი ასიმილაციაში მდგომარეობს. ე. ი. ისინი ერთგვალ უმრავლესობაში უნდა გაილესონ. ადვილათ წარმოსადგენია გულისწყრომა 40 მილიონიან უმცირესობისა სხვადასხვა ქვეყნებში. არიან უმცირესობანი, რომელნიც უმადლესათ დაწინაურებულ ერებს ეკუთვნიან და მილიონები ითვლებიან, მათ გათქვეფაზე ფიქრი მტკნარი ოცნებაა.

და აი. ყველა ამებზე იყო მსჯელობა ეენევაში, და მონაწილეობა მიიღეს გერმანიის, ინგლისის და საფრანგეთის საგარეო მინისტრებმა. მომხსენებელმა დან დიურანმა (კანადის დელეგატი) მთელი გეგმა წარადგინა უმცირესობათა საჩივრების საბჭოს მიერ განხილვის და გადაჭრის გასაადვილებლოთ. შტრეხემანმა დიდი სიტყვა წარმოსთქვა ამ გეგმის დასასაბუთებლოთ. ჩემბერლენი აცხადებდა, რომ დღესაც არა უშავს უმცირესობათა მდგომარეობას, მხოლოდ ისინი ერთობ ჰირვეულნი არიან. ბრიანმა გააღრმავა კითხვა: უმცირესობათა დაცვა ჩვენი წმინდა მოვალეობაა, მაგრამ იმ სახელმწიფოთა უხუნელობას, სადაც უმცირესობანი ბინადრობენ, დიდის

სიფრთხილით უნდა მოვეპყრათ, რომ ჩვენი მოქმედებით არ შევლახოთ.

ბოლოს იაპონიის დელეგატი ადაჩის მიენდო რუზოლიუციის შედგენა, რომელიც ერთხმათ მიიღეს. ამ რუზოლიუციის თანხმათ თვითონ ადაჩის დაეკისრა, კინონეს დელიონის (ისპანია) თანამშრომლობით, წარმოედგინოს საბჭოს მომავალ სესიას იელისში პროექტი ერთგვალ უმცირესობათა საჩივრების განხილვის საერთო წესი ერთა ლიგაში და მის აღმასრულებელ ორგანოში. მისთვის სავალდებულოა ანგარიში გაუწიოს საბჭოში წარმოდგენილ აზრებს და გეგმას.

ამ რიგათ, თუმცა კუს ნაბიჯით, კითხვა დაძრულია გაყინულ წერტილიდან და ადრე თუ გვიან კპოვეებს, იმედია, თავის მოწესრიგებას.

#### დიდი გამარჯვება.

ვინ არ იცის, რა ფასი აქვს მოსკოვის ლაქლაქს, ვითომ ის სამკვიდრ-სასიცოცხლო ბრძოლას ეწევა კაპიტალისტურ მსოფლიოსთან ერთად ერთ «პროლეტარულ სამშობლოს» დასაცავათ, ვითომ ჩვენ, «კონტრ-რევოლუციონერები», სწორეთ ამ კაპიტალისტურ მსოფლიოს მიგენდეთ სულით და ხორციით. ვეწვეით ბრძოლას საბჭოებთან მის ხარჯზე. ყველაზე მომაკვინებელი ჩვენი ცოდვა ვითომ იმაში მდგომარეობდა, რომ ნავთის მეფეს სერ დეტერდინგს ჩვენ ქვეშევრდომობა გამოგუცხადეთ და მთელი ჩვენი მოქმედება მის კონტროლს დაუქვემდებარეთ. მოსკოვის «ნავთ-სინდიკატი»-კი განადგურებთ ემუქრებოდა იმავე სერ დეტერდინგს და ამისათვის ამერიკელ როკფელერს შეუთანხმდა.

ძნელი გამოსაცნობია, რა განსხვავებაა დეტერდინგსა და როკფელერს შორის, ორივე კაპიტალისტი, მეთაურნი ბევრ-მილიარდიან ტრესტებისა, მაგრამ მოსკოვის დემაგოგიას ბოლო მაინც არ უჩნდა: ჩვენ ვკლავთ დიდი ბრიტანეთის «სანავთო იმპერიალიზმს», ამით ფრთას ვაკვეცთ მის სამხედრო-საზღვაო ძლიერებას და მოვა დრო, როცა მისი იმპერიის ნანგრევებზე ჩვენ ავაგებთ «პროლეტარულ დიქტატურას» — აი რას ჩმახავდა პოლიტიურა.

და რა გამოვიდა ამ დემაგოგიიდან, ტრახანდინან? შეთანხმება! საბჭოთა «კაზიონი» პრესა ბევრს სწერს ესლა ამ შეთანხმებაზე, თავიც კი მოაქვს, სიყალბე და სიფლიდე ერთმანეთს ეჯიბრება, რომ ეს აქტი «დიდ გამარჯვებად» მოაჩვენოს უფლებო და უსიტყვო ხალხს. სერ დეტერდინგი ვაძულეთ პირობა დაედო ჩვენთან, რომლის ძალით სამ წელში სამი მილიონი ტონა ნავთი და მისგან გამოხდილი ნივთიერება უნდა შევიტანოთ ინგლისშიო. რაც შეხება ფასს, ჩვენ დავუკელით ნ პროც. მსოფლიო ბაზრის ფასებთან შედარებით, მაგრამ პირობაში დიხაც არ გვიწერია, რომ ეს განსხვავება მიდის ძველ მესაკუთრეთა სასარგებლოთ. აი დედა-აზრი ნავთ-სინდიკატის თავმჯდომარის სოკოლნიკოვის განცხადებისა.

როგორც ხედავთ, მოსკოვი თვითონვე აღიარებს, რომ მან შესწყვიტა ბრძოლა-მეტოქეობა სერ დეტერდინგთან, პირიქით შეურიგდა მას «მსოფლიო პრო-

ლექტორატის» სადღეგრძელოთ. კიდევ მეტი, მან მო-  
 რჩილება გამოუცხადა ნავთის მეფეს, მიიღო მისი  
 კონტროლი და კარნახიც ფასის მხრივ. სერ დეტერ-  
 დინგიც აცხადებს, რომ პირობაში არ ჩაგვიწერია,  
 მაგრამ ფაქტიურათ მოსკოვი ვაიძულე ფასი დაეკლო  
 ძველ მებატონეთა დასაკმაყოფილებლათ. მოსკო-  
 ვმა ამით იცნო ფაქტიურათ პრინციპი კერძო  
 საკუთრებისა, ხოლო ფორმალურათ, იურიდიულათ  
 მას მიეცა ნება განაგრძოს ხალხის მოტყუილება, გა-  
 ბიბარუება! ამიერიდან ის შეთქმულებაშია «უსაში-  
 ნლეს მტერთან» თავის ქვეყნის წინააღმდეგ და ამას  
 ეძახის ის გამარჯვებას!

მაგრამ ყველაზე საინტერესო ისაა, რას იტყვიან  
 სამშობლოს გამცემნი, ადგილობრივი კომუნისტები!  
 მოსკოვმა გაყიდა სწორეთ კავკასიის რესპუბლიკე-  
 ბის ნავთი, ხოლო საფასურს თვითონ იჯიბებს იმავე  
 კავკასიისათვის ახალ ბორკილების გამოსაყვდათ.  
 ისინი ხომ იმსვენ ამოსძახებენ, რასაც ჩასძახებენ:  
 დიდი ბრიტანეთი დავამარცხეთ, სერ დეტერდინგი  
 «ვაიძულეთო!» ამის ნებას კიდევ აძლევენ მათ, აქონ-  
 ადიდონ, ფეხი ულოკონ მოსკოვიტებს, სხვა მათ  
 მაინც არ ეკითხებათ, ნავთი «რუსულია». თვითონაც  
 რუსების ყმები არიან და კავკასიის ერები ღირსება  
 ახდელი პარიები.

სანამდის უნდა გაგრძელდეს ეს უმზავსობა, ეს  
 დანაშაული ქვეყნის და ერის წინაშე? ნუთუ დიდ ხანს  
 იბოგინებენ კიდევ ეს არამზადები, დიდ ხანს დარჩე-  
 ბიან დაუსჯელათ? არა, ცხადია, და ამის მაჩვენებე-  
 ლი სწორეთ ის «დიდი გამარჯვებაა», რომელზედაც  
 ზევით გვქონდა ლაპარაკი. მოსკოვმა წაიჩოქა, სხვა  
 გამოსავალი არ ჰქონდა.



**რას სწავნენ ბოლშევიკებმა**

არის ევროპაში ერთი მწერალი რომანისტი, კოს-  
 მოპოლიტურ-ინტერნაციონალური ტიპის—პანაიტი  
 ისტრატი, რომელიც ჩამომავლობით რუმინელია,  
 მაგრამ სწერს ფრანგულათ. საკმაოთ სახელგანთქმე-  
 ლია და საფრანგეთში ფრანგის გორკის სახელიც  
 უწოდეს. პანაიტი აღფრთოვანებული თავყანისმცე-  
 მელი იყო ბოლშევიკების, ბოლო დროს რუსეთში  
 ცხოვრობდა, მოიარა ყველა კუთხე, იყო საქართვე-  
 ლოშიც, და ყველგან ქებადიდებდა შეასხამდა საბ-  
 ქოთა მოღვაწეობას. ეხლახან დაბრუნდა რუსეთიდან,  
 შეხვედრა ჰქონდა გაზეთ «ნუველ ლიტერურ» ის თა-  
 ნამაშრომელთან და მისი აღფრთოვანება უკვე შერ-  
 ყეულა. პესიმისში შეპარვია და აღარ მოსწონს ბევ-  
 რი რამ კომუნისტების მუშაობისა. მართალია პან-  
 ისტრატი ძველებურათ ბოლშევიკების მომხრეთ რჩე-  
 ბა, მაგრამ მის სიტყვებში მეტად მწარე ნაღველია  
 ჩაქსოვილი და აქა იქ უიმედობის იერიც გადაჰკ-  
 რავს. აი ყური დაუდეთ: «ჩემთვის—ამბობს იგი:  
 სტალინიც და ტროცკიც კარგი რევოლუციონე-  
 რია. მართალი ვითხარათ, რუსეთში მე არც შემხვე-  
 დრია კონტრრევოლუციონერი გარდა იმ სახიზლარ  
 ბიუროკრატიულ აპარატისა, რომელიც შესდგება  
 კომუნისტებისა და უპარტიოხაგან და რომელიც

ღრღნის და დამხობას უქადის ოქტომბრის რევო-  
 ლუციის კეთილ საქმეს». როდესაც ისტრატი შეხვო  
 მწერლებს და საზოგადოთ ხელოვანთა შემოქმედების  
 პირობებს რუსეთში, განაცხადა: «საბჭოთა წყობი-  
 ლების ქვეშ ხელოვანს არ შეუძლია შემოქმედება  
 თავის ნების და მიხედვით და პროლეტარული უღე-  
 ლი ისევე მიძიმე, როგორც სხვა ყოველი უღელი:  
 ეს ერთი იმ საკითხთაგანია, რომელიც მე მატის მე-  
 ტად მაღელვებს». და შემდეგ კიდევ გვეუბნება გულ-  
 ახდილად: «მე ვემხრობი იმ შეგნებულ მუშას, რო-  
 მელმაც მოახდინა რევოლუცია; მას კისერზე აწევს  
 მიძიმედ პარტიული და პროფესიონალური ბანდა,  
 რომლის ერთად ერთი მაწანია ბატონობის შე-  
 ნარჩუნება. მე არ მწამს არც ტროცკი, არც სტა-  
 ლინი, არც ბუხარინი, ე. ი. არც მარცხენა, არც  
 ცენტრი და არც მარჯვენა, არამედ მხოლოდ უბ-  
 რალო რევოლუციონერები. ეს უკანასკნელი უნ-  
 და დეპატრონონ ხვალ საბჭოთა ხელისუფლებას,  
 რომელიც კარგა ხანია უკვე აღარაა პროლეტარე-  
 ლი. თუ ასე არ მოხდა, დადგება დღე, როცა სიტყვა  
 «კომუნისტი» თუ «ბოლშევიკი» ისევე სახიზლარი  
 იქნება პროლეტარიატისათვის, როგორც სიტყვა  
 «სოციალ დემოკრატია».

ასე ლაპარაკობს კომუნისტებზე შეყვარებული,  
 მათი უცვლელი მეგობარი პანაიტი ისტრატი! თქმა  
 არ უნდა, ბოლშევიკური სამეფო მეტად შესაზარი  
 უნდა იყოს, თუ მეგობრებშიც კი აღშფოთებას  
 იწვევს.

კელოგის სამშვიდობო პაქტი საფრანგეთის პარლამენტ-  
 მაც დაამტკიცა. ერთხმად ვარდა კომუნ., რომ-  
 ლებმაც ხმა არ მასცეს პაქტს, ვინაიდან იგი «ბურჟუ-  
 აზიულია და არსებითად ომის მუქარას შეიცავსო». ფრანგის  
 კომუნისტების საქციელი ასეთი სიტყვიერით აღნიშნა  
 პალატის სხდომაზე საფრანგეთის საგარეო საქმეთა  
 მინისტრმა ბრიანმა: «განა საგულისხმიერო არაა,  
 რომ ეს პაქტი, რომელიც წარმოიშვა იმპერი-  
 ალიზმის წიაღიდან, აღსავსეა ფარულ ბოროტ გან-  
 ძრახვებით და ომს უმზადებს ქვეყნიერებას—ხომ ასე  
 გაიძახოდნ კომუნისტები—ეს პაქტი დაადასტურა  
 საბჭოთა მთავრობამ? ეს კიდევ ცოტაა: ეს მთავრო-  
 ბა მოუთმენლად შეეცადა პაქტის ძალაში შესვლის  
 დაჩქარებას და მოახლოვა მისი შესრულება ლიტ-  
 ვინოვის პროტოკოლის ხელის მოწერით. და აი ამის  
 შემდეგ საბჭოთა ფრანგი მეგობრები ხელახლა ცთი-  
 ლობენ სახელი გაუტეხონ პაქტს. რას იტყვიან მოს-  
 კოვში კაშენის სიტყვის გემო! არ იფიქრებს ლიტვი-  
 ნოვი, რომ ფრანგმა კომუნისტებმა მას ფარისევე-  
 ლობა დასწამეს?» ბრიანის დიპლომატიური მათრა-  
 ხი მოსკოვსაც მიწვდა და მის მაჩანჩალა ფრანგ კო-  
 მუნისტებსაც და იქაც და აქაც სირცხვილისაგან  
 უნდა გაწითლებულიყვნენ, მაგრამ წითელ კომუნის-  
 ტებს ნაშუსი არ აქვთ და სირცხვილისაგან არ წით-  
 ლდებიან.

როცა «ბურჟუაზიული» თუ «სოციალისტური»  
 მოღვაწენი ახასიათებენ ბოლშევიკებს, შეიძლება ეს  
 ვინმემ საუკვოდ მიიჩნიოს, უნდობლათ შეხედოს. მა-

გრამ უეჭველია უნდა ვენდოთ, როცა ბოლშევიკი ბოლშევიკს გვიხატავს—ერთმანეთს ხომ კარგათ იცნობენ. ერთმანეთს შეაბერდენ. ტროცკის სიტყვით «სტალინი მეტად საშუალო ღირსების პიროვნებაა პარტიაში. პრაქტიკული ალღა აქვს. ფრთხილია და მტკიცედ ანხორციელებს თვის მიზნებს. პოლიტიკურად ვიწრო დაძინა. თეორიაში პრიმატიულია. მისი წიგნი «ლენინიზმის პრინციპები» საესეა შეცდომებით და წინააღმდეგობით. სტალინს პრესექტივა არასოდეს არ აქვს, მოქმედებს იმპულსით. მისი პოლიტიკა მუდამ მიხვეულია მოხვეულია. ყოველი მდგომარეობისათვის შესაფერ თეორიას გამოიჯინებს. მისი დამკიდებულება მუდამ ცვალებადია. სრულებით არ შერცხვება, დღეს თეთრი უწოდოს იმას, რაც გუშინ შავად მიაჩნდა».

საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური «ტანი» ტროცკის გამოქვეყნების გამო ამბობს, რომ «ტროცკის პიროვნება არაა ისეთი, რომ სიბრალული გამოიწვიოს: როცა ის თვითონ სახელმწიფოს სათავეში იდგა, არავითარ სიბრალულს არ იჩენდა კომუნისტურ რევოლუციის მსხვერპლებსადმი!» გახეთი ფიქრობს, რომ უფრო საყურადღებო მოვლენა ისაა რომ ბოლო დროს კომინტერნმა მუშაობა გააცხადებდა. ეს აიხსნება რუსეთის შინაური კრიზისით. ერთ დროს საბჭოებს თავისი შველა უნდოდათ საგარეო ავანტიურით. მაგრამ დარწმუნდნენ, რომ წითელ არმიას არავითარი შეტევა არ შეუძლია და ამიტომ ახლა ისევ მსოფლიო რევოლუციის მზადებას შეუდგნენ.

იგივე გახეთი ეხება რუსეთის დამოკიდებულებას აზიის მეზობელ სახელმწიფოებთან და ასე ახასიათებს ბოლშევიკების საგარეო პოლიტიკას: ბოლშევიკების ურთიერთობას აზიელ მეზობლებთან თითქოს მშვიდობიანი ხასიათი აქვს. «მაგრამ ამ გარეგნულობიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ საბჭოთა რუსეთმა, რომლის მთავარი ყურადღება ამ ეხმად მიუყრბილია ეკონომიური კრიზისის დაძლევაზე, დასტოვა ძველი რუსეთის იმპერიალისტური მიზნები და აღარ ფიქრობს ტერიტორიის გაფართოებას სამხრეთით და აღმოსავლეთით? სრულებით უსაფუძვლო იქნებოდა ამგვარი დასკვნის გაკეთება; პირიქით რუსეთის სახელმწიფო მოღვაწეებს როგორც მეფეების დროინდელს ისე ენლანდლებს ერთნაირი მისწრაფებანი აქვთ. ენლანდლებიც დაპყრობის პოლიტიკას მისდევენ. საბჭოთა მთავრობა აშკარად ვითომც არ ემუქრება მეზობლებს და მათთან კორექტიული დამოკიდებულებაც აქვს, ხოლო მეგობრობის და მოყვრობის ნიღაბს ქვეშ ნათლათ გამოსუქვივის განზრახვა დაპყრობის და დამორჩილების».

**უკრაინელთა შორის**

უკრაინულ გახეთის «ტრიზუმის» სიტყვით, გასული წლის დამლევს ვარშავაში გაიმართა უცხოეთში მყოფ უკრაინელთა მეორე სადელეგატო ყრი-

ლობა უკრაინის ეროვნულ მთავრობის წევრთა მონაწილეობით. ყრილობას დაესწრო პოლონელი სოციალისტი, სვიმის წევრი კალინოვსკი, რომელმაც განაცხადა, რომ «პოლონეთის დემოკრატია დიდის ინტერესით ადევნებს თვალყურს უკრაინის ხალხის განთავისუფლებას, რომელიც უფრო და უფრო ახლოვდება». ყრილობას მიესალმნენ აგრეთვე ქართველების, ყუბანის და დონის კახაკების და ყირიმის და კოლგის თათართა წარმომადგენელი. წაკითხულ იქნა მოხსენებანი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის პროფ. ლოტოცკის, სამხედრო მინ. გენერალ სალსკის და სხ. რომელთა შემდეგ გამოტანილ იქნა რეზოლიუცია, რომ უნდა გაგრძელდეს ბრძოლა მოსკოვისაგან სრული განთავისუფლებისათვის და უკრაინის დამოუკიდებელი სახალხო რესპუბლიკის დასაარსებლათ.

— კერენსკის გახეთი «დნი» აღმოფთვებით აღნიშნავს ვარშავის ყრილობას და სხვათა შორის ამბობს. რომ მართალია «სეპარატისტები» თავის მომხრეთა რიცხვში სთვლიან ვ. ჩერნოვს (რომელიც იცავს «აღმოსავლეთ ევროპის ერების ლიგას»), მაგრამ არსებითად ჩერნოვი არაა მათი მოკავშირე, რადგან ჩერნოვისათვის «ლიგა» ისაა, რაც ლენინისათვის იყო ბრესტ-ლიტოვსკის ზავი, ე. ი. დროებითი ტაქტიკური საშუალებაა «სულის მოსაბრუნებლათ»...

— საბჭოთა მთავრობა განსაკუთრებულის სისატიკით სდევნის უკრაინის ავტოკეფალურ ეკლესიას და ყოველნაირად ცდილობს, განხეთქილება ჩამოაგდოს უკრაინის მართლმადიდებელ ეკლესიასა და სხვა საწმუნოებებათა შორის. ამას წინადა არც ერთმა სტამბამ არ დასტამბა ამ ეკლესიის «უწყება», მაშინ როდესაც სხვა მორწმუნენი თავისუფლი ბეჭდავენ თავიანთ გამოცემებს.

— გენერალი პუგაჩევი დაინიშნა კიევის (სამხრეთ დასავლეთის) რაიონის გენ. შტაბის უფროსად, რათა მეტი დისციპლინა დამყარდეს ადგილობრივ ჯარში. ამავე დროს უკრაინის გპუს (ჩეკა) თავმჯდომარედ, ნაცვლად იანტრეხოვისა დაინიშნა ქართველიშვილი—სტალინის მეგობარი, რათა აღამგოს ეროვნული მიდრეკილება უკრაინულ ჯარებში.

**ბოლშევიკების საქმეცდომი**

თურქესტანში ამ ბოლო დროს მეტად გახშირდა შეტაკება ადგილობრივ და რუს მუშებს შორის. მაგალითად ამას წინად კახილ-არგატის რაიონის გზის სახელოვნოებში უბრალო უსიამვნებამ პირდაპირ ხელჩართული ბრძოლა გამოიწვია თურქმენების და რუსების. ხშირია, რომ ინეინრები და ტენიკოსები ისევე სდევნიან და ავიწროებენ ადგილობრივ მუშებს, როგორც ძველი წყობილების დროს. მრავალი დაწესებულების გამოკვლევამ ნათელჰყო, რომ თურქმენებს და რუსებს შორის საშინელი ანტოგონიზმია გამეფებული. ადგილობრივ მუშების რიცხვს ძალათ ამცირებენ თითქმის ყველა წარმოებასა და დაწესებულებაში (იხე. 29 წ. № 27).

— რუსეთიდან ჩამოსულ პირთა სატყვით, სტალინის დის ქორწილი, რომელიც ჩეხოსლოვაკელმა



კომუნისტმა შეირთო, პირდაპირ სამეფო ბრწყინვალებით იქნა გადახდილი კრემლის სასახლის დარბაზში: «დედოფალი» და მისი ამაღლა ბრწყინვალედ ძვირფას ქვედში და პარიზიდან გამოწერილ ტანთსაცმელებში.

**მ ც ი რ ი შ ე ნ ი შ ვ ნ ა**

წერილი რედაქციის მიმართ.

ბ. რედაქტორო,

ამას წინეთ ერთმა ახალგაზდამ მაჩვენა გაზეთი, რომელსაც ქვიან «თეთრი გიორგი» და რომელიც შეიცავს ფრანგულ ენაზე არსებულ ჩემ წიგნაკის («Les graves erreurs de l'Internationale Socialiste») კრიტიკას. მისი ავტორია ბ. ლ. კერესელიძე.

მე ვიცი, რომ თქვენი პატივცემული გაზეთი თეთრიგორგელებთან არავითარ პოლემიკას არ აწარმოებს, და კარგადაც და სწორათ იქცევა. ბრძოლა იმ მიმართულებასთან, რომელსაც არავითარი წიადაგი არ აქვს და არც ექნება ჩვენს ხალხში, სრულიად ზედმეტია.

კამათს არც მე ვაპირებ, რაც უნდა სთქვას ბ. კერესელიძემ ჩემზე ახ საზოგადოთ საქ. სოც.-დემ. პარტიის მოქმედებაზე, ჩვენთვის სულ ერთია. მარა მე მინდა ფაქტები აღვადგინო და ამისთვის გთხოვთ პატარა ადგილს ამ მცირე შენიშვნისათვის.

მე უნდა აღვნიშნო ორი რამ. ერთი ის, რომ ბ. კერესელიძე ადასტურებს იმას, რაც სიმატლეს მოკლებულია და სინამდვილეში ადგილი არ აქვს. ჩვენ არ ვიცით, სად წაიკითხა ან საიდან დაასკვნა კერესელიძემ, თითქოს ინტერნაციონალს საქართველოს წინააღმდეგ რაიმე რეზოლიუცია გამოეტანოს. ასეთ რამეს არასოდეს არ ქონია ადგილი და ყოველი სოციალისტური სხდომა ან კონგრესი ქართველი ერის მოთხოვნილებას მუდამ მხარს უჭერდა და უჭერს. ყველაფერი, რასაც ამის გამო ბ. კერესელიძე მკითხველს აწვდის, არის მისი ფანტაზიის ნაყოფი.

ყოფრადღებას იქცევა აგრეთვე მეორე გარემოება. ეს ის, რომ დასწამა რა ცილი ჩვენ ევროპიელ მეგობრებს და მათში ჩვენი ერის დიდ მეგობარს ვანდერველდეს—თითქოს ისინი ჩვენს წინააღმდეგ იბრძოდნენ, მოიხსენიებს მათ და განსაკუთრებით პატივცემულ ვანდერველდეს უდიერათ და უმსგავსოთ, რაც ყოველი ქართველისათვის დაუშვებელი და საძრახისია. ვანდერველდესადმი—რომელიც ყოველგან და ყოველთვის იცავს თავჯამოდებით ქართველ ერს და მის უფლებებს—მინც საქირო იყო ზრდილობიანი მოპყრობა და ქართული თავზიანობის გამოჩენა. სამწუხაროა, რომ ეს ზოგიერთებს არ ესმისთ \*).

Georges Olini.

\*) საზოგადოთ მალებულია, რომ ავტორი დაახსნელონ ისე, როგორც არის ხელმოწერილი მისი შრომა. მარა ეს ხომ ლიტერატურული ეთიკის საქმეა, რომელთანაც ბ. კერესელიძე მწყურალათ ყოფილა.

**გ რ ვ რ ღ ე ბ ა**

ყველამ უწყის, რომ ქართველ ემიგრაციაში დიდი ხანია თავი იჩინა ტუბერკულოზმა და რამდენიმე ჩვენი მოქალაქე—როგორც საფრანგეთში, ისე სხვაგან ევროპაში, განსაკუთრებით ახალგაზდობა და უპირველესათ მოსწავლე ახალგაზდობა—შეპყრობილია ამ საშიშელი სენით.

საუბედუროთ, ამ უკანასკნელ ხანებში უკვე კიდევ დაგველუპა რამდენიმე ადამიანი (კახიანი, კეკელიძე, ქიქოძე და სხვ.), რომელნიც უდროოთ სიცოცხლეს გამოეხალმენ.

ეს მოხდა იმიტომ, რომ ეს საბრალონი დასუსტებულნი მძიმე მუშაობით ან კვების ნაკლებობით ვერ იჩენდენ გამძლეობას და ვერ უმაგრდებოდნენ სენს, რომლის წინააღმდეგ ბრძოლისათვის საჭიროა სპეციალური პირობები, მოვლა და აქიმიობა. საშიშელება ის არის კიდევ, რომ საოკუპაციო ხელისუფლება ნებას არ აძლევს მშობლებს (ვისაც შეუძლია), მიაწოდონ თავიანთ შვილებს ევროპაში ფული, რომ ამ უკანასკნელთ შეეძლოთ მდგომარეობის გაუმჯობესობა.

სიკვილისგან თავის გადარჩენა შეეძლოთ ზოგიერთებს მაინც იმათში, ვინც გადაიკვალენ, მათ რომ საკმაო დახმარება ქონებოდათ. ადვილი დასახსნელია სენისაგან ისინი, ვინც ღლეს ტუბერკულოზით არიან შეპყრობილნი—და ამათი რიცხვი საგრძნობელია—თუ მათ მივე შველებით დროზე და შევუქმნით შესაფერ პირობებს აქიმიობისათვის.

ღროარიცდის, საჭიროა ჩქარი დახმარება! ესლავე უნდა შევკრიბოთ საჭირო თანხა და მივიღოთ სათანადო ზომებიც!

ამ მიზნით, ამ წლის 3 მარტს ქ. პარიზში, დაარსდა ტუბერკულოზით ავთამყოფ ქართველთა დამხმარე კომიტეტი.

ეს კომიტეტი მიმართავს ყველა შეგნებულ ქართველს, სადაც არ უნდა იყვნენ, დაუყოვნებლივ ჩაეწეონ კომიტეტის წევრებად და შეძლების დავგვართ შემოიტანონ იქ თავიანთი წვლილი.

კომიტეტი იმედს გამოსთქვამს, რომ მისი ხმა გაგონილ იქნება ყველას მიერ და მასთან ერთათ მიეშველებიან ჩვენ ავთამყოფ ახალგაზდობას.

გთხოვთ დაიჩქაროთ!  
კომიტეტი ს ბ ი უ რ ი:  
თავმჯდომარე: ქ-ნი ელენე ალხანოვა.

15, rue Bréa პარიზი 6.  
ქ-ნი ინა ელდანიასი, თავმჯდომარის ამხანაგი.

10, Av. de l'Echo. Parc S'Maur (Seine).  
ბ. დავით ხხიბტლაძე, თავჯდ. ამხანაგი.

4, rue Balzac. პარიზი 8.  
ექ. ელქოლოანი, გენერალური მდივანი.

1, rue Nouvelle du Parc. Cahean (Seine).  
ქ-ნი ექ. ელენე დეკანოზი, ხაზინადარი.

26, rue de Vanves. Clamart (Seine).  
ქ-ნი ხელიძე ბაგრატიძე-მუხრანსკი.

15, rue Duplex. პარიზი 15.  
ქ-ნი თამარ ვაით-საუქს. 14, av. Heury Martin პარიზი

ბ. გენ. გრიგოლ ერისთავი. 32, rue Wachington  
პარიზი 8.  
ექ. იაკობ შოჭოლაძე. 46, rue Vital. პარიზი 16.  
წევრათ ჩაწერა და შემოწირულების შემოტანა  
შეიძლება ბიუროს ყველა წევრებთან.  
პარიზი 12 მარტი 1929 წ.

ქართველები საფრანგეთში.

ქ. პარიზში ამ წლის 3 მარტს ქნინა ურდანიას  
ინიციატივით დაარსდა ტუბერკულოზით ავად-  
მყოფ ქართველ მოქალაქეთა დამხმარე კო-  
მიტეტი, რომელიც უკვე შეუდგა მუშაობას. სიხა-  
რულით ვეგებებით ახალ საზოგადოებას და ვიმედო-  
ვნებთ, რომ ყოველი ქართველი, სადაც უნდა იყ-  
ვეს, ყოველნაირ დახმარებას გაუწევს ამ კეთილ და  
ძლიერ საჭირო საქმეს.

ამ ნომერშივე ჩვენ ვბეჭდავთ ამ კომიტეტის ბი-  
უროს მოწოდებას.

— ორნის რკინის მაღაროები. თებერვლის  
25-ს, საქართველოში რუს ოკუპანტების შემოსევის  
8 წლის თავზე შესდგა აქ მომუშავე ქართველთა კრება.

სიტყვების შემდეგ გამოტანილ იქნა რეზოლიუცია:

«ორნის რკინის მაღაროებში მომუშავე ქართველი  
ლტოლელები, საქართველოში ბარბაროს, წითელ  
ნიღაბიან რუსების ვერაგულ შემოსევის 8-წლის თავ-  
ზე, ერთსულოვნად ვსდებთ ფიცს ჩვენი ერისა და  
სამშობლოს წინაშე, რომ მის განსათავისუფლებლად  
არ დავზოგავთ არავითარ საშუალებას;

იმ ეროვნულ დროშას, რომელიც ჩვენს მამა-პაპას  
ამყად ეჭირა, არავის წავაბილწვინებთ და მის ქვეშ,  
უკანასკნელ წუთამდე ვიბრძობებით ჩვენი მიწა-წყლის  
განსათავისუფლებლად».

ამასთანავე გთხოვთ გადასცეთ მთავრობას ჩვენი  
უგულოთადესი სალამი.

ჩვენი ურყევი რწმენაა, რომ სახელოვანი ჩვენი  
მთავრობა გამარჯვებული დარჩება ბრძოლაში და  
ქართველ ერს მოუპოვებს სანუკვარ თავისუფლებას.  
გამგეობის მდივანი სტ. კასრაძე.

შემოღწირულდება.

საქ. სოც. დემ. მუშ. პარტ. საზღვარგარეთელ  
ბიურომ მიიღო პოლიტ. გადასახლებულთათვის:  
ო დენკურიდან. ბარამიძე გერმანე 25 ფრ.,  
ჩარქვიანი ლევ. 25 ფრ. ურუშაძე ავთ. 25 ფრ. ორა-  
გველიძე ნაკ. 20 ფრ., დოლიძე ვლად. 20 ფრ., ჩხიკვი-  
შვილი ვარ. 20 ფრ., იმნაიშვილი ქრის. 20 ფრ., მუხა-  
შარია თეოდოლე 15 ფრ., ხელოძე დავ. 15 ფრ. ათ-  
ათი ფრანკი: მაჭავარიანი ერასტო, ყიფიანი რუბენ,  
მათითაიშვილი სერგო, ხავთასი ვლად., ხომერიკი  
ალფესი, ჭელიძე გრამიტ., ბოცვაძე ვანო, ვადაქო-  
რია აკაკი, მელიქაძე ბაკ., წერეთელი გრ., ჩხაიძე კვ.  
ჩიკვილაძე სია., მაჭავარიანი ვას., ალიმბარაშვილი  
ზაქრო, გუდუმიძე დავ. მელუა მირ., ცინცაძე გირ.,  
ხელაძისა მედეა, ლომთათიძე დავ. ჯანუარაძე ალ.  
წიფვიძე გერ., მელქაძე ალექსან. სულ 405 ფრ.

გამოვიდა და იყიდება  
ხელფენებისა და მეცნიერების კრებულები:

„კ ა შ კ ა ს ი მ ე ი“

№ 1-2. ფასი 10 ფრანკი.

შინაარსი: ლექსები (ბერეჟიანი, გასიტაშვი-  
ლი, გელა, მეჩონგურე, რალფი, ტყემალაძე, წილო-  
სანი). პოემა ვლასა მგელაძის. სტ. კასრაძე: «სახლგარ-  
ზე გადასვლა». რაბინდრანათ ტაგორე: «სახლი და  
ქვეყანა». ვლ. ბაქრაძე: «ლიტერატურული და თეატ-  
რალური კრიტიკა ქართულ კომუნისტურ პრესაში».  
ის. მანწკავა: «ქართული ლიტერატურა», მ. წულუკი-  
ძე: «ესკიზები თანამედროვე ქართულ ლიტერატურ-  
იდან:—გალ. ტაბიძე». პაუტტმანის იუბილეს გამო.  
მ. ბილანიშვილი: «ხელოვნების პრინციპები და ნიკო  
ფიროსმანიშვილი», ერ. ორბელიანი: «პაწალი» (რო-  
მანსი). სტუდენტთა კავშირისაგან: «ქართველ საზოგა-  
დოებას», ექ. თაყაიშვილი: «სომხით-საორბელს ძე-  
გლების წარწერები», მ. ხუნდაძე: «საქართველოს სა-  
კითხი საერთაშორისო უფლების თვალსაზრისით»,  
გ. ნოზაძე: «ახალი ქალაქები». მ. მანინი: სანავთო იმ-  
პერიალიზმი და «ქართული რევოლუცია».

მ. ბილანიშვილის ნახატი: ქართველი ქალი. ნიკო  
ფიროსმანიშვილის ნახატი: 1) ნადიმი ოჯახში, 2)  
კინტოების ქეიფი. ექ. თაყაიშვილის ტაბულები.

ყ და: მხატვარ ბილანიშვილის.

რედაქცია და გამომცემლობა:

ქართველ სტუდ. ეროვნული გაერთიანება.

მისამართი:

Ed. Papava.

35, Boulevard Auguste-Blanqui. Paris 13.

წერილი. რედაქციისადმი.

დ. პ. ბატონო რედაქტორო,

უმორჩილესად გთხოვთ მომცეთ ნება თქვენი გა-  
ზეთის საშუალებით გამოუცხადო ჩემი უღრმესი მა-  
დლობა მეგობრებს და ნაცნობებს იმ თანაგრძობი-  
სთვის, რომელიც სიტყვიერათ და წერილობით მი-  
ვიღე მათგან ჩემი საყვარელ ერთადერთ ვაჟის პეტი-  
კოს დაკარგვის გამო.

ვალეკო ჩუბინიძე.

შეცდომის გახწოდება.

«დამოუკ. საქ.»-ს № 38-ში მე-5 გვერდზე მოყვა-  
ნო ცხრილში შეგვეპარა შეცდომა, რასაც ვასწო-  
რებთ. უნდა იყოს: «აი რა ჯდებოდა ერთ დროს, ომა-  
მდე, ერთი ფუთი მადნის მიტანა ჭიათურის საწყო-  
ბამდე (კიპეიკებში):

- 1. მადნის ამოღება და გამოტანა 2.25
- 2. მისი გაწმენდა და ხარისხებად დაყოფა 0.75
- 3. იჯარის ფასი 1.00
- 4. ჭიათურაში ჩამოტანა 2.75
- 5. მრეწველის გამოტანა 0.25

სულ 7 კაპ.

Rédaction et Administration.

M. J. GOBETCHIA

7, rue de Ponthieu, 7. Paris.